კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი ავთანდილ ჩაგელიშვილი

თურქეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები საქართველოში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,

ასოცირებული პროფესორი მაია კაპანაძე

თბილისი - 2019

ანოტაცია

თურქეთს ისტორიულად გააჩნდა, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური ინტერესები საქართველოს მიმართ. მისი ინტერესეი ჩვენი ქვეყნისადმი დროთა განმავლობაში, სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

თურქეთს სსრკ კავშირის დაშლის შემდგომ მიეცა კარგი საშუალება, რათა მას თავისი პოლიტიკური ინტერესები დაუბრკოლებლად გაევრცელებინა საქართველოში. ცივი ომის დასრულების შემდეგ თურქეთისათვის სიტუაცია შეიცვალა პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან და მათ შორის საქართველოსთან მიმართებაში. თურქეთი ერთ-ერთი პირველი ქვეყანათაგანი იყო, რომელმაც ახლად დამოუკიდებლობა აღდგენილ საქართველოსთან დაამყარა პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა. თავისიგ გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო თურქეთისათვის საქართველო თავისი მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროექტების განსახორციელებლად მეტად ხელსაყრელია და აქედან გამომდინარე ის ცდილობს, რომ ეს ხელსაყრელი შემთხვევა კარგად გამოიყენოს.

გარდა ამისა თურქეთს სხვა მიზნებიც ამოძრავებს საქართველოში. ეს არის „ნეოოსმანიზმის“ იდეა, რომელშიც საქართველოც მოიაზრება. თურქეთი ამისთვის რბილ ძალას იყენებს, მაგრამ „ნეოოსმაიზმის“ განხორციელება შეუძლებელია. მას წინ უამრავი შემაფერხებელი გარემოება ეღობება.

Anotation

Turkey's political and economic interests in Georgia

Turkey has always had historical and economical interests towards Georgia since old times and it has been getting stronger and stronger.

Since the desolution of Soviet Union, Turkey has bigger opportunity to full fill its interests. Turkey was the first country to start political relation with newly born independent Georgia. Georgia is locationally best place for Turkey to perform its political and economical projects. Turkey has always tried to use this opportunity.

Besides this, Turkey has some other purposes towards Georgia. This is „neo-osmanism“ and it involves Georgia as well, but it is impossible because it has many preventing aspects.

Avtandil chagelishvili

სარჩევი

შესავალი.....5

თავი I. თურქეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიული ასპექტები

1.1.თურქეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიული ეტაპები.....9

1.2.თურქეთ-რუსეთის ომები და ქართული ტერიტორიები.....13

1.3 საქართველოს საკითხის გააქტიურება ოსმალეთის იმპერიის უკანასკნელ პერიოდში.....22

თავი II. ლაიცისტური თურქეთის ურთიერთობა საქართველოსთან

2.1. ანკარის მთავრობასა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობა.....31

2.2.საქართველოს საკითხი მოსკოვის მოლაპარაკებებსა და ყარსის ხელშეკრულებაში.....34

2.3. თურქეთის ტერიტორიული პრობლემა II მსოფლიო ომის ბოლოს და საქართველო.....4
0

თავი III. საბჭოთა კავშირის დაშლის პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები თურქეთ-საქართველოს ურთიერთობებში

3.1. თურქეთისა და რუსეთ-ირანის ინტერესები საქართველოში.....44

3.2. თურქულ -აზერბაიჯანული ნავთობ და გაზსადენები და საქართველო.....50

3.3. ნეოოსმანიზმი და თურქეთის „რბილი ძალა“ საქართველოში.....55

დასკვნა.....60

გამოყენებული ლიტერატურა.....63

შესავალი

თემის აქტუალობა

თურქეთისათვის სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან და მათ შორის საქარველოსთან ურთიერთობას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ რეგიონს მნიშვნელობა თურქეთისათვის ახლაც არ დაუკარგავს. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან საქარეთველოს, თურქეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებისათვის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ის ყოველთვის ცდილობს საქართველოსთან სტაბილური პოლიტიკური და და ამავე დროს ინტენსიური ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდეს, რადგანაც ჩვენს რეგიონში საქართველოს მნიშვნელოვანი ადგილი და როლი აქვს თურქეთისათვის. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ ორ ქვეყნას შორის არსებობს გარკვეული პრობლემებიც, რომლებიც ჯერჯერობით ცუდად არ ასახულა თურქეთ-საქართველოს არც პოლიტიკურ და არც ეკონომიკურ ურთიერთობებზე. აქედან გამომდინარე შესაბამისად თემა საკმაოდ აქტუალურია.

საკვლევი კითხვები

- ✓ რამ განაპირობა თურქეთის პოლიტიკური და ასევე ეკონომიკური ინტერესების გაძლიერება საქართველოში სსრ კავშირის დაშლის შემდგომ?
- ✓ რა პოზიცია დაიკავა თურქეთმა საქართველოში არსებული კონფლიქტებისადმი?
- ✓ რომელ ქვეყნებთან უხდება თურქეთს მეტოქეობა თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების გასატარებლად საქართველოში?

ჰიპოთეზა

თურქეთისათვის სამხრეთ კავკასიას და მათ შორის საქართველოს, როგორც მეზობელ რეგიონში შემავალ ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ასევე მეზობელ ქვეყანას სსრკ -ს დაშლის შემდგომ გამორჩეული ადგილი ეჭირა.

თურქეთი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და არ ერევა ჩვენს ქვეყანაში არსებულ კონფლიქტებში .

თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების გასატარებლად თურქეთის ყველაზე სერიოზული მეტოქეები ირანი და რუსეთია, თუმცა აშშ-საც თავისი ინტერესები გააჩნია, რაც თურქეთისათვის კიდევ ერთ სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს.

თემის მიზნები და ამოცანები

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მიზანია შევისწავლოთ და ობიექტურად შევაფასოთ ის პრიორიტეტები, რასაც თურქეთი მიზნად ისახავს საქართველოსთან მიმართებაში, ასევე ის გამოწვევებიც, რაც ამ ორ ქვეყანას შორის არსებობს როგორც პოლიტიკური ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. ჩვენ შევძელით არსებული სიტუაციის რეალურად შეფასების საფუძველზე დაგვენახა ის პოზიტიური თუ ნეგატიური მხარეებიც, რაც არსებობობს ამ ორი ქვეყნის ურთიერთობებში.

თემის დამუშავების დროს გამოყენებული მეთოდოლოგია

ნაშრომის დამუშავების დროს გამოყენებულია „ძალთა ბალანსის“ თეორია, რაც გამომდინარეობს საერთაშორისო სისტემის ანარქიული სტრუქტურიდან. „სექიურითიზაციის კონცეფცია“, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოების ჩართულობას, „პოლიტიკური რეალიზმის“ თეორია, რომლის ძირითადი სუბიექტი არის სახელმწიფო. კვლევაში ასევე გამოყენებულია „თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორია“ -კოენისეული კონცეფცია, რომელიც მოიცავს საერთო საფრთხეების აღიარებას.

კვლევის მეთოდები

ნაშრომის დამუშავებისას გამოყენებულია პოლიტიკის კვლევის ანალიზი. კვლევაში გამოყენებული მეთოდოლოგია ძირითადად ეფუძნება ემპირიული კვლევის მეთოდებს, რამაც საშუალება მოგვცა ძირეულად შეგვესწავლა თემის ირგვლივ არსებული თეორიული ბაზა. არსებული მასალის განხილვა, ანალიზი და დასკვნების გამოტანამ საშუალება მოგვცა უკეთ გაგვეანალიზებინა ნაშრომი. თემის დამუშავებისას აგრეთვე გამოყენებულია ემპირიული კვლევის ერთ-ერთი იარაღი- ლოგიკა.

თემის პრაქტიკული მნიშვნელობა

ჩვენ ვეცადეთ შეგვექმნა აკადემიური ხასიათის ნაშრომი, რომელიც აკმაყოფილებს სამაგისტრო თემის მოთხოვნებს. სასურველია, ჩვენს მიერ შესრულებული სამაგისტრო ნაშრომი იყოს ისეთი, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნება თურქეთ- საქართველოს ურთიერთობით დაინტერესებული მკვლევარებისათვის. ის შესაძლოა ასევე გამოყენებულ იქნას უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებშიც.

ჩვენს ნაშრომში განვიხილეთ თურქეთის პოლიტიკაში საქართველოს ადგილი და როლი. წინა პლანზე წამოვწიეთ კონკრეტულად ის თუ რა მნიშვნელობა აქვს საქართველოს, როგორც მის ერთ-ერთ მეზობელ და სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვან ქვეყანას თურქეთის საგარეო პოლიტიკაში, ამასთანავე ყურადღებას გავამახვილეთ თურქეთის ეკონომიკურ ინტერესებზეც. წინ წამოვწიეთ ისეთი აქტუალური თემები, როგორიცაა თუ როგორი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თურქეთისთვის საქართველოს, როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად.

კვლევის შედეგების განხილვა

ჩვენს ნაშრომში განხილული გვაქვს თურქეთის პოლიტიკაში საქართველოს ადგილი და როლი კონკრეტულად ის თუ რა მნიშვნელობა აქვს საქართველოს, როგორც მის ერთ-ერთ მეზობელ და სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვან ქვეყანას საგარეო პოლიტიკაში, ამასთანავე ყურადღება გვაქვს გამახვილებული თურქეთის ეკონომიკურ ინტერესებზეც. წინ წამოვწიეთ, ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი როგორიცაა საქართველოს მნიშვნელობა თურქეთისთვის არა მარტო პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური თვალსაზრისითაც.

ლიტერატურის მიმოხილვა

თურქეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებისადმი საქართველოში არც თუ ისე ბევრი ნაშრომია დაწერილი. რატომღაც ამ საკითხით მკვლევარების დაინტერესება ხშირი არ არის. არსებობს მცირე მოცულობის ნაშრომები, რომლებშიც შესწავლილია საქართველო-თურქეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების ცალკეული საკითხები.

ჩვენი თემის ირგვლივ მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია მ. სვანიძის წიგნმა „თურქეთის ისტორია“. თბილისი, 2007. მასში აღწერილია თურქეთის ისტორია უძველესი დროიდან XXI საუკუნის დასაწყისამდე. ამ წიგნში მთიანად აქვს დათმობილი ადგილი თურქეთის ისტორიის განვითარების ეტაპებსა და დიპლომატიურ ურთიერთობებს, რაც ძალიან გამოგვადგა თემის დამუშავებისას.

თურქეთის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები შესწავლილია გ. ალასანია, გ. სანიკიძე, ნ.გელოვანის ერთობლივი ნაშრომი. თბილისი, 2011, სადაც დეტალურად განხილულია თურქეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან და მათ შორის საქართველოსთან, რაც დაგვეხმარა გაგვეანალიზებინა ორ ქვეყანას შორის არსებული მრავალმხრივი ურთიერთობები.

ასევე თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსის უახლესი პრიორიტეტები შესწავლილი აქვს ე. მაკარაძეს თავის ბოლო დროს გამოცემულ სამეცნიერო მონოგრაფიაში თბილისი. 1918-2019წწ. მასში კონკრეტულად ასახულია შეცვლილი

პოლიტიკური ვითარების ფონზე, თურქეთის მიდგომები მეზობელ ქვეყნებთან და მათ შორის საქართველოსთან.

ცივი ომის დასრულების შემდეგ პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები განხილული აქვს ა. იმედაშვილს საქართველო-თუექეთის ურთიერთობების ახალი ერა, „ხიდი“, თბილისი 1993. სამეცნიერო სტატიაში.

აღნიშნულ სტატიაში მოცემულია მეგობრობისა და თანამშრომლობის ის ხელშეკრულება, რომელიც თურქეთსა და საქართველოს შორის დაიდო ამ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის შემდეგ.

თავი I

თურქეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიული ასპექტები

მსოფლიოში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, რომელიც XX საუკუნის დასასრულს და XXI საუკუნის დასაწყისში მიმდინარეობს, საკმაოდ სერიოზული პოლიტიკური რეალობა დადგა. წამოიჭრა მთელი რიგი პრობლემები, რომელთან გამკლავებასაც მსოფლიოს ქვეყნები ცდილობენ. ამ ქვეყნებში შედის როგორც, თურქეთი ისე სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიც. აღსაღნიშნია ის რომ თურქეთი დიდი ხანია ცდილობს ძალთა ბალანსის თეორიის თავის თავზე მორგებას. ძალთა ბალანსის თეორის მიხედვით საერთაშორისო სისტემა ანარქიულია და სახელწიფოების ძირითადი ამოცანაა თვითგადარჩენა და თვითდამკვიდრება, რომლის აუცილებელი პირობაა უსაფრთხოება და

დამოუკიდებლობა. თურქეთის შემთხვევაში მისი მიზნები ქვეყნებთან ურთიერთობაში და კერძოდ საქართველოსთან მიმართებაში, საკუთარი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების გატარებას ითვალისწინებს.

1.1. თურქეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიული ეტაპები

ისმაილ I-მა (1501-1524) შექმნა ირანის სეფიანთა სახელმწიფო, მის შექმნაში აქტიურად მონაწილეობდა შვიდი ყიზილბაშური ტომი, ამიტომ სეფიანთა სახელმწიფოს ყიზილბაშების სახელმწიფოსაც უწოდებენ.

ამ დროიდან იწყება ბრძოლა ოსმალეთსა და სეფიანთა ირანს შორის, ახალ აღმოსავლეთში ბატონობისათვის.ოსმალეთი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო მდიდარი ქვეყნების დაპყრობით და ამ რეგიონზე გამავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზების ხელში ჩაგდებით. მას ამ საქმეში ირანი ეღობებოდა წინ, რომელსაც რეგიონის ქვეყნებში გაბატონება სურდა.

1514 წელს დაიწყო ირან-ოსმალეთის პირველი ომი. სადაც შაჰ ისმაილმა გადაწყვიტა ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად ანტიოსმალური კოალიცია შეექმნა. ამ კოალიციაში საქართველოს გარდა შევიდა ეგვიპტის სულთანი, ალბისტანს და მარაშის გამგებლები. სელიმ I-მა გადაწყვიტა ზომები მიეღო ანტიოსმალური კოალიციის წინააღმდეგ. მან 1515 წელს ალბისტანისა და მარაშის წინააღმდეგ გაილაშქრა, დაიპყრო ეს სამთავროები და ოსმალეთს შეუერთა. ასევე გადაწყვიტა საქართველოს წინააღმდეგ გალაშქრებაც. ოსმალებმა ირანთან ომის შედეგად დაპყრობილი ქვეყნები სანჯაყებად დაჰყვეს და იქ ოსმალური მართვა-გამგებლობა შემოიღეს. [1]

ავსტრია-უნგრეთთან 1547 წელს ზავის დადების შემდეგ სულთანმა დაიწყო ირანის წინააღმდეგ ომის სამზადისი და 1548 წელს დაიწყო ახალი დიდი

[1] მ. სვანიძე საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს-ში, თბილისი. 1971. გვ. 105

ლაშქრობა ირანის წინააღმდეგ. ამ ომში გამარჯვებამ ოსმალეთს, ირანის სამფლობელოების დიდი ნაწილი ჩააგდებინა ხელთ. ირანის შაჰს კარგად ესმოდა, რომ ოსმალეთთან მოლაპარაკებების დროს საქართველოს საკითხი მნიშვნელოვანი იქნებოდა,რაც ხელს შეუწყობდა საზავო მოლაპარაკებების წარმატებით დამთავრებას.

1555 წლის 29 მაისს ამასიაში, ოსმალეთსა და ირანს შორის დაიდო ზავი, რომლითაც დამთავრდა ირან-ოსმალეთის თითქმის ნახევარსაუკუნოვანი პირველი ომი. ამ ზავში აისახა ომის პოლიტიკური,ეკონომიკური და სამხედრო შედეგები ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ კავკასიაში. ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნები ოსმალეთმა და ირანმა ზავის პირობებით გაინაწილეს (საქართველო და სომხეთი ორად გაიყო, დასავლეთ სომხეთი-ოსმალეთს, ხოლო აღმოსავლეთ სომხეთი-ირანს, დასავლეთ საქართველო და სამცხე საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი-ოსმალეთს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველო და აღმოსავლეთ მესხეთი-ირანს ერგო).

1578 წელს განახლდა საომარი მოქმედებები ოსმალეთსა და ირანს შორის და დაიწყო რიგით მეორე ომი, რომელიც 12 წელი გაგრძელდა. ეს იყო ყველაზე სისხლისმღვრელი ომი, რომელიც ირანსა და ოსმალეთს შორის საზავო მოლაპარაკებების შედეგად დამთავრდა 1590 წელს. ამ ზავის თანახმად სამხრეთ კავკასია და მათ შორის საქართველოც ოსმალეთმა ირანს მთლიანად წაართვა.

ამ ორი ქვეყნის დაპირისპირება ამით არ დასრულებულა, რადგან 1603 წელს ირანმა ოსმალეთის წინააღმდეგ ომი განაახლა. თავდაპირველად ირანელებმა ოსმალებისაგან გაათავისუფლეს ლორე, დმანისი, თბილისი, ხოლო შემდეგ ახალციხიდანაც განდევნეს ოსმალები. სულთნის მთავრობა ცდილობდა სამხრეთ კავკასიაში დაკარგული პოზიციების აღდგენას, რაც მალე მოახერხეს და დაიბრუნეს ახალციხე. ეს ომი დასრულდა 1612 წლის სტამბოლის ზავით, რომლის მიხედვითაც აღმოსავლეთ საქართველო და აღმოსავლეთ მესხეთი-ირანს, ხოლო

დასავლეთ საქართველო და სამცხე-საათაბაგოს დასავლეთ ნაწილი ოსმალეთს დარჩა. [2]

1615 წელს ირან-ოსმალეთის ომი 1618 წელს სერაფის ზავით დამთავრდა, რომელიც იგივე პირობებს მოიცავდა რასაც სტამბოლოს ზავი.

XVII საუკუნის 40-50-იანი წლებიდან გაუარესდა ოსმალეთის ეკონომიკური მდგომარეობა, ამიტომ მტავრობამ გადაწყვიტა კუნძულ კრეტას დაპყობით გაეზარდა სახელმწიფო შემოსავალი, რომელიც 1645 წელს მოახერხეს.

1639 წლის ჰობასის ზავით დასრულდა 1603 წელს დაწყებული ირან-ოსმალეთის კიდევ ერთი ომი, რომლის პირობებითაც საქართველოსთან მიმართებაში არაფერი შეცვლილა (აღმოსავლეთ საქართველო ისევ ირანს დარჩა, ხოლო დასავლეთ საქართველო და სამცხე საათაბაგო მთლიანად ოსმალეთის ხელში გადავიდა).

XVIII საუკუნის დამდეგს ოსმალეთის იმპერია ისევ პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზსში იყო. ოსმალეთის კარზე დიდი ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს თუ რა ხდებოდა ირანსა და სამხრეთ კავკასიაში. ირანში შექმნილი მდგომარეობა ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მისი მიზნების განხორციელებისათვის,მათ შორის საქართველოსთან მიმართებაში.

1724 წლის 24 ივნისს სტამბოლში ოსმალეთსა და რუსეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელიც ისტორიაში ცნობილია „დანაწილების ხელშეკრულების“ სახელით. ამ ხელშეკრულებით რუსეთმა და ოსმალეთმა გაინაწილეს ირანის ტერიტორიები. ოსმალეთი ცნობდა რუსეთის მიერ კასპიისპირა პროვინციების შეერთებას, სანაცვლოდ ოსმალეთს უნდა მიეღო სამხრეთ კავკასიის ტერიტორიები ანუ მთელი საქართველო.

1733 წლის დეკემბერში ნადირსა და ოსმალეთის სარდალ აჰმედ ფაშას შორის დაიდო ხელშეკრულება საომარი ოპერაციის შეწყვეტის შესახებ. ამ

[2] მ. სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები XIV-XVIII სს. თბილისი. 1990. გვ. 78.

ხელშეკრულებით ოსმალეთს უნდა დაებრუნებინა ირანისთვის ყველა ის ტერიტორია, რომელიც ოსმალეთმა დაიკავა უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში და ირან-ოსმალეთის საზღვარი უნდა აღმდგარიყო 1639 წლის ზოჰაბის ზავის მიხედვით. ოსმალეთის სულთანმა არ დაამტკიცა ეს ხელშეკრულება და 1734 წელს კვლავ განახლდა საომარი მოქმედებები. ამ ომში ნადირმა დაიკავა განჯა, თბილისი, მდ. არაქსის ჩრდილოეთით მდებარე მხარეები, შეიჭრა ოსმალეთის ტერიტორიაზე და ალყა შემოარტყა ციხე-სიმაგრე ყარსს, მაგრამ ვერ აიღო. 1736 წელს სტამბოლში მორიგი საზავო ხელშეკრულება დაიდო ოსმალეთსა და ირანს შორის, რომლის მიხედვითაც უნდა აღმდგარიყო მურად IV-ის დროს არსებული პირობები, მაგრამ ქართლ-კახეთის სამეფო ისევ აღიარებდა ირანის ვასალობას. ფაქტია, რომ ზოჰაბის ზავის პირობები საქართველოსთან მიმართებაში კვლავ ძალაში დარჩა, დასავლეთ საქართველო და სამცხე საათაბაგო ისევ ოსმალეთის მფლობელობაში იყო. ოსმალებმა სამცხეში დაიწყეს თავიანთი მიწისმფლობელობის სისტემის შემოღება. ეს ტერიტორია აღწერეს ჯერ კიდევ 1578-1579 წლებში და „გურჯისტანის ვილაიეთის ჯაბა დავთარში“ შეიტანეს. [3]

რუსეთის ეკონომიკური განვითარება და გაბატონებული კლასების ინტერესები გადაუდებლად მოითხოვდა შავ ზღვაზე გასვლას. ოსმალეთი თავის მხრივ სამფლობელოების გავრცელებას შავიზღვისპირეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში ფიქრობდა და ცდილობდა ასტრახანის აღებასაც.

1770 წლის 24-26 ივნისს ეგეოსის ზღვაზე ჩესმენის ყურეში, რუსეთის ესკადრამ გაანადგურა ოსმალთა ფლოტი. რუმიანცევის არმიამ მდინარე ლარგსა და მდინარე კაგულზე გამარჯვებები მოიპოვა. შემდეგ ბენდერის, იზმაილის, კილიასა და აკერმანის ციხესიმაგრეები აიღო.

1771 წელს მეორე არმია ყირიმში შევიდა. რუსეთის ჯარის წარმატებამ აიძულა ოსმალეთი მშვიდობიანი მოლაპარაკებები დაეწყოთ რუსეთთან, მაგრამ ყოველივე

[3] ო. გიგინეიშვილი. თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა. თბილისი. 1963. გვ. 34-35.

უშედეგოდ დასრულდა. 1772 წელს 1 ნოემბერს კი რუსეთმა ყირიმის ხან საჰიბ-გირეისთან გააფორმა ხელშეკრულება.

1774 წლის 6 ივნისს რუსეთის ჯარებმა დუნაი გადალახეს. სუვოროვის 18 ათასიანმა კორპუსმა კოზლუჯასთან 40 ათასიანი ოსმალთა ლაშქარი გაანადგურა. 1774 წლის 10 ივლისს ქუჩუკ-კაინარჯში ხელი მოეწერა საზავო ხელშეკრულებას. რუსეთმა მიიღო დნეპრისა და სამხრეთის ბუგს შორის მდებარე ტერიტორია და კინბურნის , ქერჩისა და ენიკალეს სიმაგრეები. რუსეთის ფლოტმა შავ ზღვაში თავისუფალი ნაოსნობის უფლება მოიპოვა.

ამ ომში რუსეთის მხარეზე აქტიურად გამოვიდნენ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II და სოლომონ I. საქართველოში რუსეთის მთავრობამ საექსპედეციო რაზმი გამოაგზავნა გენერალ ტოტლებენის მეთაურობით, მაგრამ ტოტლებენის თვითნებურმა მოქმედებამ ქართველ მეფეთა უკმაყოფიება გამოიწვია. 1770 წლის 19 აპრილს მან მოულოდნელად მიატოვა ერეკლე II აწყურის ციხესთან და უკან გაბრუნდა, თუმცა ერეკლე II აწყურიდან გამოსული მტრის იერიში მოიგერია და 20 აპრილს ასპინძასთან ქართველებმა ოსმალეთის ლაშქართან ბროძლაში დიდი გამარჯვება მოიპოვეს.

1.2. **თურქეთ-რუსეთის ომები და ქართული ტერიტორიები**

სელიმ III-ის მმართველობის ხანაში, XVII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის დასაწყისში, ოსმალეთის იმპერიის სტურქტურულ კრიზისს თან დაერთო ახალი მნიშვნელოვანი გამოწვევები საერთაშორისო ასპარეზზე. XIX საუკუნის დასაწყისში დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ომების ახალი სერია, რომელიც პირველი მსოლიო ომის დასრულებამდე გაგრძელდა. 1806-1812 წლებში თურქეთი ფართომასშტაბიან ომს აწარმოებდა რუსეთის წინააღმდეგ.

რუსეთ-ოსმალეთის ეს ომი გამოწვეული იყო ოსმალეთის რევანშისტული პოლიტიკით. კონსტანტინოპოლში ფიქრობდნენ, რომ რადგანაც რუსეთი 1804 წლიდან ირანთან ომით იყო დაკავებული, ხოლო 1805 წლიდან საფრანგეთთან ომშიც ჩაება, ოსმალეთი ადვილად დაიბრუნებდა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიებს და საქართველოსაც დაეპატრონებოდა.

აღნიშნული ომი საქართველოსაც მნიშვნელოვნად ეხებოდა, რადგანაც რუსეთ-ოსმალეთის ომის ერთ-ერთი მთავარი ფრონტი კავკასია იყო.

1809 წელს საქართველოში რუსთა ჯარმა ქართველთა სამხედრო ძალების დახმარებით დაამარცხა ოსმალთა მრავალათასიანი არმია და ფოთი გაათავისუფლა. 18011 წელს ოსმალები ახალქალაქიდანაც განდევნეს. 18011 წლის ოქტომბერში, რუსეთ-ოსმალეთის მოლაპარაკება დაიწყო, მაგრამ რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობების გამწვავების იმედით ოსმალები საქმეს აჭიანურებდნენ. 1812 წელს რუსეთმა და ოსმალეთმა გაჭიანურებული მოლაპარაკების მიუხედავად ხელი მოაწერეს ბუქარესტის საზავო ხელშეკრულებას, რომლითაც ოსმალებმა აღიარეს ბესარაბიისა და დასავლეთ საქართველო რუსეთთან შეერთება; დუნაის აუზში დაკავებული ციხე-ქალაქები, აგრეთვე ფოთი და ახალქალაქი, რუსეთმა ოსმალებს დაუბრუნა.[4]

1812 წლის ბუქარესტის საზავო ხელშეკრულების შესაბამისად, რუსეთმა მოახდინა ბესარაბიის ანექსირება, რასაც დღეს მოლდოვა ეწოდება და ასევე მოიპოვა ფართო უფლებები დუნაისპირეთის სამთავროებში. კავკასიაში, რუსეთსა და ოსმალეთს შორის საზღვარი პრაქტიკულად იგივე დარჩა. (რუსეთმა „დროებით დაუბრუნა“ ოსმალეთს ფოთი და ახალქალაქი). ამ მტკივნეულ პროცესში თურქებმა ისწავლეს „დიდი თამაშის წესებში“ და დროთა განმავლობაში გამოავლინეს გარკვეული ნიჭი, საკმარისი იმისთვის, რომ დროში გადაწეულიყო და შენელებულიყო მათი იმპერიის დაშლის შეუქცევადი პროცესი.

[4] ნ.ქორთუა. საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში. თბილისი. 1964, გვ. 37

ამ მტკივნეულ პროცესში თურქებმა ისწავლეს დიდი თამაშის წესები და დროთა განმავლობაში გამოავლინეს გარკვეული ნიჭი, საკმარისი იმისთვის, რომ დროში გადაწეულიყო და შენელებულიყო მათი იმპერიის დაშლის შეუქცევადი პროცესი.

1827 წელს გაერთიანებულმა ბრიტანულმა, ფრანგულმა და რუსმა ფლოტმა დაამარცხა ეგვიპტის ფლოტი ნავარინის სრუტეში საბერძნეთის სამხერეთით, რასაც მოჰყვა საბერძნეთის დამოუკიდებლობა, ომი დაიწყო, მაშინ, როდესაც სულთანმა რუსეთის ნავარინის ბრძოლაში მონაწილეობით გაღიზიანების გამო დარდანელის სრუტე დახურა რუსეთის გემებისთვის და ამით აკერმანის კონვენცია დაარღვია. რუსეთ-თურქეთის ომი მორიგი 1828 წლის 14 აპრილს გამოცხადდა. რუსეთმა ჯერ დაიკავა ანაპას ციხე, შემდეგ ყარსის ციხე, 15 ფოთის,ახალქაქლაქის, ხერთვისის, ახალციხის,ბაიაზეთი და არზრუმი. 1828 წლის ივნისში რუსეთის მთავარი ძალები იმპერატორ ნიკოლოზ I-ის მეთაურობით დუნაის კვეთენ და დობრუჯაში იჭრებიან. მანამდე, რუსეთის მთავარსარდალი მეფისწული პეტრე ვიგენშტაინი კი ვალახეთში შეიჭრა და ბრაილა და ბუქარესტი აიღო. 1828-29 წლის რუსეთ-თურქეთის ომმა, რომელიც რუსეთის გამარჯვებით დასრულდა, როგორც წინა ომებში ახლაც საფრთხის ქვეშ დააყენა სტამბოლი,რომ არა ისევ ბრიტანეთის და საფრანგეთის მყისიერი ჩარევა, ედირნეს (ადრიანოპოლის) ზავით რუსეთი იძულებული იყო დაეტოვებინა ის, რაც დაიპყრო რუმინეთსა და ბულგარეთში, თუმცა შეინარჩუნა უფლება ეკონტროლებინა დობრუჯა და დუნაის შესართავი და შავ ზღვაზე სავაჭრო გემებით ნაოსნობის უფლება. აღმოსავლეთში რუსეთმა დატოვა დაპყრობილი ტერიტორიები აღმოსავლეთ ანატოლიაში, ერზრუმის და ყარსის ჩათვლით.[5]

1839-1876 წლებში, ევროპული იმპერიალიზმის სულ უფრო გაძლიერებისა და პმოძალების პირობებში, ოსმალეთის იმპერიაში განხორციელდა რეფორმების სერია, რომელიც „თანზიმათის“ სახელითაა ცნობილი. თანზიმათი

[5] Шеремет В.И. Турция и Адрианопольский мир 1829 г. М. 1975. Стр. 35.

თურქეთში ორ ეტაპად წარიმართა; 1. 1839-1853 წწ (ყირიმის ომის დაწყებამდე) და 2. 1856 (ყირიმის ომის დასრულების შემდგომ) – 1876 წწ (კონსტიტუციის მიღებამდე). რეფორმების თითქმის 40-წლიანი პერიოდში, თურქეთში სამხედრო და სამოქალაქო სფეროებში ძირეული გადრაქმნები მოხდა. იმავდროეულად, მთელი ამ პერიოდის მანძილზე, იმპერია მუდმივად იმყოფებოდა საგარეო საფრხეების წინაშე. მათ, ვინც მხარს უჭერდა საშინაო რეფორმებს მტკიცედ სწამდათ, რომ მხოლოდ მოდერნიზაციისაკენ თუ ევროპეიზაციისაკენ მიმართული გარდაქმნებით შეიძლებოდა იმპერიის არსებობის შენარჩუნება.[6]

რუსეთი, ოსმალეთის ყველაზე ხანგრძლივი და მუდმივი მტერი, 19 საუკუნის 30 იანი წლების ომების დასრულების შემდეგ კვლავაც ოცნებობდა სტამბოლის ხელში ჩაგდებაზე და აქედან გამომდინარე ქრისტიანული იმპერიის აღდგენას კონსტანტინეს ქალაქში (კონსტანტინოპოლში). რუსეთი ასევე ფართოვდებოდაკავკასიასა და ცენტრალურ აზიაშიც; ამჟღავდებდა ინტერესს იერუსალიმის მიმართ და განსაკუტრებით ყურადღებას იჩენდა ოსმალეთის ქვეშევრდომი მართლმადიდებელი ქრისტიანებისადმი; მას სურდა ქრისტუანული სახელმწიფოს შექმნა ბალკანეთზე. რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა (1925-1855 წწ) დუნაისპირა პროვინციების დაკავება გადაწყვიტა. საფრანგეთი და ინგლისი ისევ ოსმალეთს ამოუდგნენ მხარში. სულტანმა 1853 წელს რუსეთს ომი გამოუცხადა. ოსმალეთმა თავდაპირველად წარმატებას მიაღწია კავკასიასა და დუნაისპირეთში, თუმცა მალე რუსებმა შავ ზღვაზე ოსმალეთის ფლოტი გაანადგურეს, ამის შემდგეგ ფრანგებმა და ინგლისელებმა საკუთარი შეერთებული ფლოტი გააგზავნეს შავ ზღვაში. 1854 წელს კი ავსტრია და პრუსია შეუერთდნენ კოალიციას ოსმალეთის იმპერიის მთლიანობის დაცვის მოთხოვნით. რუსეთის არმია გავიდა დუნაისპირა პროვინციებიდან, რამდენადაც რუსეთი არ იყო მზად დაპირისპირებოდა პრაქტიკულად მთელ ევროპას.

[6] Тарле Е.В. Крымскская Война. Соч. Т. 8-9. М. 1959. Стр. 176.

ყირიმის ომი, საბოლოო ჯამში, უპირველესად ევროპული სახელმწიფოების ომი იყო, თუმცა, ამ ომში მონაწილეობა ოსმალეთს უზარმაზარი ვალების აღებად დაუჯდა მისი მოკავშირე ინგლისისა და საფრანგეთისგან. ყირიმის ომი წარმოებდა ერთი მხრივ, იმპერიულ რუსეთსა და, მეორე მხრივ, ბრიტანეთის, საფრანგეთის მეორე იმპერიის, სარდინიის სამეფოსა და გარკვეულწილად ოსმალეთის იმპერიის ალიანსს შორის. ოსმალეთი ყირიმის ომის მსვლელობისას იმედოვნებდა დასავლეთ საქართველოს და ახალციხის „დაბრუნებას" რუსეთისაგან, რომელიც 1806-12 და 1828 -29 წლების რუსეთთან ომების შედეგად დაკარგა. 1854 წელს კი ოსმალეთის მოკავშირე შამილის ჯარები შემოიჭრნენ აღმოსავლეთ საქართველოში, ოსმალების იმედი, რომ ისინი თბილისის აღებასაც შეძლებდნენ, არ გამართლდა. რუსეთის იმპერიის ჯარებმა განდევნეს ოსმალები საქართველოდან და ანატოლიის ტერიტორიაზეც შეიჭრნენ.

მეომარ მხარეებს შორის 1855 წელს პარიზში ხელი მოეწერა სამშვიდობო ხელშეკრულებას.

პარიზის ხელშეკრულებით და მისი დამატებითი მუხლებით ოსმალეთის იმპერია ცხადდებოდა ევროპულ სახელმწიფოდ. ცალკე ხელშეკრულებით , ინგლისი, საფრანგეთი და ავსტრია ვალდებულებას იღებდნენ, რომ პატივს ცემდნენ და დაიცავდნენ მის დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას. მოხდა შავი ზღვის დემილიტარიზაცია. „იგი გახსნილი იყო ყველა ქვეყნის სავაჭრო გემებისთვის და დაკეტილი იყო სამხედრო გემებისთვის. ეს აკრძაალვა ვრცელდებოდა რუსეთზეც და ოსმალეთზეც, რომელთაც უფლება ეძლეოდათ ჰყოლოდათ შავ ზღვაზე მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობის, მცირე ტონაჟის პატარა სამხედრო გემები",

სპეციალური ვასალური სტატუსი მიენიჭა ოსმალეთის იმპერიის ვალახეთისა და მოლდოვას პროვინციებს იმ იმედით, რომ პროვინციების ეს "ამაღლებული" სტატუსი მათგან შექმნიდა ბუფერულ ზონას ოსმალეთსა და რუსეთს შორის.

ამ პირობებზე ევროპელთა თანხმობსიათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სულტნის მიერ გამოცემულ ახალ ედიქტს - ჰატტ-ი ჰუმაიუნს („უავგუსტოესი (სულტნის) მანიფესტი“) , რომელიც მრავალი ახალი რეფორმის წამოწყებასა და ოსმალეთის ქრისტიანებისთვის თანასწორუფლებიანობის გარანტირებას ითვალისწინებდა.

1876 წლის ივლისში მონტენეგრომ და სერბეთმა ომი გამოუცხადეს ოსმალეთს, თუმცა ოსმალეთის არმიამ შეძლო სერბების დამარცხება, მაგრამ ამ ვითრებაში რუსეთმა ულტიმატუმი წაუენა სულტანს, რის შედეგადაც მოიწვიეს სტამბულში 1876 წლის დეკემბერში დიდი სახელმწიფოების კონფერენცია სერბეთსა და ოსმალეთს შორის ზავის პირობების განსახილველად. ტერიტორიების შემოერთებისა და ზეგავლენის გაზრდის სურვილიდან გამომდინარე, 1877 წელს რუსეთმა ომი გამოუცხადა ოსმალეთს. ოსმალეთის საზღვაო ფლოტი დომინირებდა შავ ზღვაზე. რუსულმა ფლოტმა გაიარა დუნაი და უკვე ედირნესა და სტამბოლისკენ მიიწევდა, ოსმალო გენერლის ოსმან ფაშას არმია პლევნასთან აკავებდა რუსეთის ჯარს ივლისიდან დეკემბრამდე.[7]

საომარი მოქმედებები თავიდანვე დაიწყო ორ ფრონტზე-ბალკანეთსა და კავკასიაში. 1877 წლის აპრილში რუსეთის არმიამ გადალახა მდინარე პრუტი და რუმინეთის ტერიტორიზე შევიდა. 1877 წლის მაის-ივნისში მიმდინარე ცხარე ბრძოლების შემდეგ რუსებმა ბულგარელ მოლაშქრეებთან ერთად მდინარე დუნაი გადალახეს. ოსმალეთის სარდლობამ მიზნად დაისახა რუსეთის არმიის სამხრეთ ბალკანეთიდან განდევნა. ოსმალეთის არმია სულეიმან-ფაშას სარდლობით 1877 წლის ზაფხულში დიდი მონდომებით უტევდა შიპაის უღელტეხილზე გამაგრებულ რუსების რაზმს. ბულგარეთის ერთობლივმა არმიამ არ დაუშვა ოსმალეთის არმიის ჩრდილოეთ ბალკანეთში გადასვლა.

[7] ჩხეიძე ს. ახლო აღმოსავლეთის საკითხის ისტორიიდან (1876-1878 წლების კრიზისის პერიოდიში). თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. ტ.21. თბილისი. 1967 გვ. 65

1877 წლის ნოემბერში პლევნის გარნიზონის ოსმალურმა სარდლობამ კაპიტულაცია გამოაცხადა. პლევნის აღებამ გადამწყვეტი გავლენა იქონია ომის მსვლელობაზე. 1878 წლის იანვარში რუსეთის ჯარმა სოფია დაიკავა, ხოლო რამდენიმე დღის შემდგეგ თურქები დაამარცხა ფილიპოპოვთან, რუსეთის არმიის მეორე კორპუსმა 1878 წლის 8 იანვარს ადრიანოპოლი დაიკავა. (საომარი მოქედებები მიმდინარეობდა კავკასიაში, კერძოდ საქართველოში). ქართველებს იმედი მიეცათ, რომ აჭარა და მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ამჯერად მაინც დაუბრუნდებოდა დეასამშობლოს. საომარი მოქმედებები კავკასიის ფრონტზე დაიწყო 1877 წლის 30 აპრილს. ამავე წლის მაისში რუსებმა აიღეს ბაიაზეთი და არტაანი. რუსეთის არმიამ არ ისარგებლა მოპოვებული უპირატესობით და ბათუმის მაგივრად გეზი ყარსისაკენ აიღო, ბათუმზე შეტევა კი ოზურგეთიდან დაიწყეს. ამ სტრატეგიული შეცდომის წყალობით რუსეთის სარდლობამ ინიციატივა ხელიდან გაუშვა, რუსეთის არმიამ ყარსი ვერ აიღო, საჭირო გახდა ხანგრძლივი ალყა. ამან ოსმალეთის სარდლობას საშუალება მისცა ჯარების მობლიზება მოეხდინა. რუსეთის სარდლობა მიხვდა საკუთარ შეცდომას და არზრუმის მიმართულებით დაიწყო მიმართულება.

1877 წელს ოსმალებმა სასტიკად დაამარცხეს ერევანი და ბაიაზეთის მიმართულებით შეტევაზე გადასუი რუსეთის ჯარები, ხოლო ამავე წლის 25 ივნისს ზივინთან განცდილი მარცხის შემდეგ რუსებმა დატოვეს ომის დასაწყისში დაკავებული ტერიტორიები. 1877 წლის ივნისიდან სექტემბრამდე რუსეთის არმიის მდგომარეობა მცირე აზიის ფრონტზე მძიმე იყო. რუსებმა მარცხი განიცადეს ასევე აჭარის ტერიტორიაზე. ასევე დამარცხდნენ აფხაზეთშიც. 1877 წელს ოსმალეთმა გუდაუთასთან დესანტი გადმოსხა და სოხუმისაკენ დაიძრა. რუსებმა სოხმი უბრძოლველად დატოვეს. თურქებმა თითქმის ნახევარი აფხაზეთი დაიკავეს. აფხაზეთში გენერალ იაკობ ალხაზიშვილის სარდლობით სასწრაფოდ გაიგზავნა დამხმარე ძალა, რომელიც რუსეთის რეგულარული ჯარისა და ქართული

სახალხო ლაშქრისაგან შედგებოდა. გადამწყვეტი ბრძოლა ოქუმთან თურქების მარცხით დამთავრდა. [8]

1877 წლის 2 სექტემბერს რუსეთის ჯარები სოხუმში დაბრუნდნენ, მალე თურქებმა აფხაზეთი მთლიანად დატოვეს. აღნიშნლი ფაქტის შემდეგ ვითარება რადიკალურად შეიცვალა, რუსები შეტევაზე გადავიდნენ არზრუმის და ყარსის მიმართულებითაც. 18 ნოემბერს რუსეთის ჯარებმა ქართული სახალხო ლაშქრის დახმარებით ყარსი აიღეს, რაც თურქთა დიდი მარცხი იყო. 1877 წლის დეკემბერში რუსებმა დაიკავეს ხერთვისი, არტანუჯი და ბათუმისაკენ გავიდნენ, თუმცა აჭარელი ბეგების პოზიციის გარკვევამდე ბრძოლის დაწყებას ერიდებოდნენ, ასეთ ვითარებაში შერიფ ხიმშიაშვილმა რუსებს აჭარაში შესვლა სთხოვა. ახალციხის მხრიდან რუსეთის ჯარები აჭარისაკენ დაიძრნენ. თურქეთი კი თავგამოდებით იცავდა არზრუმს. [9]

რუსეთის წარმატებებმა შეაშფოთა ევროპის სახელმწიფოები. ისინი სულთანს ზავის დადებას ურჩევდნენ. ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობების გართულების თავიდან აცილების მიზნით ალექსანდრე II-მ სულთნის პირობა მიიღო და 1878 წლის 18 (31) იანვარს ადრიანოპოლში დაიდო რუსეთ-ოსმალეთის დროებითი ზავი, რომელიც განახლდა 19 თებერვალს. სტამბოლის დასავლეთით 12 კილომეტრის დაშორებით დაიდო სანსტეფანოს საზავო ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით სერბეთმა, მონტენეგრომ და რუმინეთმა მიიღეს დამოუკიდებლობა, ბულგარეთმა შეიერთა მაკედონია და ოსმალეთში შემავალ ავტონომიურ სამთავროდ იქცა. რუსეთმა ამავე ზავით მიიღო სამხრეთ ბესარაბია, ასევე რუსეთის შემადგენლობაში გადავიდა: არტაანი, ყარსი ბაიაზეთი, აჭარა და ბათუმი.

---

[8] მ.სვანიძე. „თურქეთის ისტორია“. თბილისი 2007. გვ. 404.

[9] Орешкова С. Ф. Ульченко Е. Ю. Россия и Турция (проблемы формирования границ) М. 1999. Стр. 133.

თურქეთ საქართველოს ურთიერთობაში ვითარება შეიცვალა XIX საუკუნის დამდეგიდან, როცა ამიერკავკასიაში მკიცედ მოიკიდა ფეხი რუსეთმა და ოსმალეთის მთავარი მეტოქე გახდა კავკასიაში, მათ შორის საქართველოში ბატონობისათვის ბრძოლაში. ამდენად, გაჩნდა შესაძლებლობა „ერთმორწმუნე" რუსეთის მხარდაჭერით საუკუნეების წინ დაკარგული ისტორიული ტერიტორიების დაბრუნებისა. უკვე აღვნიშნეთ, რომ XIX საუკუნეში მიმდინარე ოსმალეთ-რუსეთის ომების ერთ-ერთი მთავარი ასპარეზი, კავკასია და მათ შორის საქართველო იყო. ქართველი საზოგადოება მიიჩნევდა, რომ რუსეთ ოსმალეთის ომებს შედეგად მოჰყვებოდა დასავლეთ საქართველოს თურქთა ბატონობისგან განთავისუფლება.[10]

რუსეთის ხელისუფლება კარგად ხვდებოდა, თუ რამდენად არსებითი მნიშვნელობა ექნებოდა სამხედრო ოპერაციების მსვლელობაში ოსმალთა მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე მცხოვრები მუსლიმი ქართველების პოზიციას. სამუსლიმო საქართველოს მოსახლეობაში ეროვნული გრძნობა საკმაოდ ძლიერი იყო. სწორედ ამის შედეგი იყო რომ რუსეთ-ოსმალეთის ომების პერიოდში ოსმალების მიერ დაკავებულ ქართულ ტერიტორიებზე მცხოვრები ქართული მოსახლეობა თავგამოდებით იბრძოდა თურქეთისაგან გასათავისუფლებლად. XIX საუკუნის დამდეგს, მაშინ როდესაც რუსეთის იმპერიამ ქართული სამეფო სამთავროები დაიპყრო, საქართველოს სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთის ისტორიული ტერიტორია- სამცხე საათაბაგო, ტაო-კლარჯეთი, აჭარა XVI საუკუნიდან ოსმალთა იმპერიას ჰქონდა მიტაცებული. რუსეთის იმპერიამ 1806 - 1812 წლების ომის დროს სცადა სამხრეთ და სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის ოსმალეთისათვის წართმევა, მაგრამ ვერ მოახერხა. მეორედ ეს მცდელობა გაიმეორა 1828-1829 წლების დროს სამხრეთ საქართველო, ანუ ისტორიული სამცხე საათაბაგო ოსმალეთს დაათმობინა ადრიანოპოლის ზავით.

[10] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბილისი 1970. გვ. 79.

რუსეთმა, ასევე დიდი წარმატება მოიპოვა 1877-1878 წლების მორიგ რუსეთ-ოსმალეთის ომში და შედეგად ტაო-კლარჯეთის დიდი ნაწილი აჭარა და ართვინი რუსეთის იმპერიაში სან-სტეფანოს ზავით და ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით. ამგვარად, რუსეთ ოსმალეთის ომების დროს კავკასიის ფრონტს დამხმარე ფუნქცია ჰქონდა, მაგრამ XIX საუკუნის ომებში, რუსეთის იმპერიას კავკასიაში საკმაო ტერიტორიული მოგება ხვდა წილად. როგორც უკვე აღვნიშნეთ 1829 წელს მან შემოიერთა სამცხე-ჯავახეთი, სადაც დაასახლა ოსმალეთდან მოწვეული 30-40 ათასი სომეხი და ბერძენი, სამაგიეროდ იქაურ მუსლიმ მოსახლეობას ძირითადად ქართულენოვანს, უბიძგა წასულიყო ოსმალეთში.

1.3 საქართველოს საკითხის გააქტიურება ოსმალეთის იმპერიის უკანასკნელ პერიოდში

I მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ საქართველოში არსებული ყველა პოლიტიკური პარტია და მიმდინარეობა ცდილობდა შექმნილი სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში გარკვევას და შესაბამისად სამოქმედო გეგმის დასახვას.ეროვნულ-დემოკრატიული მიმდინარეობის აქტიურობა ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე შეინიშნებოდა . პოლიტიკური დევნის გამო ემიგრაციაში წასულმა ეროვნულ-დემოკრატებმა ჟენევაში გააგრძელეს მოღვაწეობა . პეტრე სურგულაძემ, ლეო კერესელიძემ, ნესტორ მაღალაშვილმა და სხვებმა 1903 წელს ჩამოაყალიბეს ჯგუფი : „თავისუფალი საქართველო“ და გამოსცეს ამავე სახელწოდების ჟურნალიც. ამავე ჯგუფის აქტიური წევრები იყვნენ გიორგი მაჩაბელი და მიხეილ (მიხაკო) წერეთელი. ჟენევაში ჩაეყარა საფუძველი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს“. პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ 1914წელს კომიტეტი ჟენევიდან ბერლინში გადავიდა და იქ გააგრძელა მოღვაწეობა.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა“ 1915 წელს საქართველოში მოავლინა თავისი წარმომადგენელი გიორგი მაჩაბელი და ადგილობრივ პოლიტიკურ ძალებს გერმანიის დახმარებით -რუსეთის წინააღმდეგ აჯანყების მოწყობა შესთავაზა. სპეციალურ კრებაზე მაჩაბელი შეხვდა : ნოე ჟორდანიას, ევგენი გეგეჭკორს (სოციალიტ-დემოკრატები), გრიგოლ რცხილაძეს (სოციალისტ-ფედერალისტები), რევაზ გაბაშვილსა და შალვა ამირეჯიბს (ეროვნულ-დემოკრატები).

გიორგი მაჩაბელმა თათბირის მონაწილეებს გააცნო „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ მიერ გერმანიასთან, ავსტრია-უნგრეთსა და თურქეთთან დადებული ხელშეკრულებები. ეს სახელმწიფოები ქართველების აჯანყების შემთხვევაში საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურ დახმარებას კისრულობდნენ.

ნოეჟორდანიააჯანყებისდაწყებისწინააღმდეგგამოვიდა.

რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლება განცალკევებით აწარმოებდა საზავო მოლაპარაკებას გერმანიასა და თურქეთთან. ბრესტ-ლიტოვსკის ზავის IV მუხლის თანახმად თურქეთის ხელში გადადიოდა ბათუმის, არდაგანისა და ყარსის ოლქები: რუსეთი ყველაფერსგააკეთებს,რაც მასზეა დამოკიდებული, რათა უზრუნველყოს აღმოსავლეთ ანატოლიის სასწრაფო და მოწესრიგებული დაბრუნება თურქეთისთვის; აგრეთვე დაუყოვნებლივ დაიცალოს რუსული მხედრობისგან არდაგანის, ყარსისა და ბათუმის (მიმდებარე რეგიონები) ოკრუგები.

ბოლშევიკური რევოლუციის გამარჯვებიდან სულ მალე, 1917 წლის 5 დეკემბერს დაიდო ზავი რუსეთსა და ოსმალეთს შორის. ზავის პირობები მოწონებულ იქნა ამეირკავკასიის კომისარიატის მიერაც. ოდნავ მოგვიანებით, ერთის მხრივ, გე რმანიასა და მის მოკავშირეებს, ხოლო მეორეს მხრივ, რუსეთს შორის, ბრესტ-ლიტოვსკში 1918 წლის 3 მარტს ხე3ლმოწერილი ხელშეკრულების საფუძველზე, რუსეთმა იტვირთა ვალდებულება გამოეყვანა თავისი ჯარები

აღმოსავლეთ ანატოლიიდან და ასევე ბათუმიდან. ამ რეგიონების ბედი კიადგილობრივი მოსახლეობის ნების საფუძველზე, თურქეთისა და მეზობელი ქვეყნების შუამავლობით უნდა გადაწყვეტილიყო. სადავო რეგიონების მოსახლეობისათვის „თვითგამორკვევის უფლების“ ზემოთნახსენები ფორმით მინიჭება პრაქტიკულად ამ ტერიტორიების თურქეთისთვის დათმობას ნიშნავდა.

რამდენადაც ბრესტ-ლიტოვსკის ზავის ხელმოწერის დროისთვის ამიერკავკასია არ იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო, თურქების თვალთახედვიდან, ის რისეთის ნაწილს წარმოადგენდა, ამდენად, თურქები მიიჩნევდნენ, რომ ამიერკავკასიას არ ჰქონდა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის არაღიარების ლეგალური საფუძველი. ბრესტის ზავის თანახმად რუსული ჯარები რეგიონიდან გავიდნენ. ოდნავ ადრე კი 1918 წლის თებერვლიდან, ოსმალებმა განაახლეს შეტევა კავკასიაში და სწრაფად წაიწიეს წინ,რამდენადაც ქართული და სომხური შენაერთები ბევრად ჩამოუვარდებოდნენ მათ როგორც რაოდენობრივი, ისე შეიარაღების თვალაზრისით . ოსმალებმა ადვილად დაიკავეს სომხეთისა და საქართველოს ტერიტორიის ნაწილი.[11]

1918 წლის 1 მარტს ამერკავკასიის სეიმსა და კომისარიატის ერთობლივ სესიაზე თურქეთთან ზავის თაობაზე ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი წინადადებები:

1.სეიმი უფლებამოსილია დაამყაროს მშვიდობა. 2. სეიმი მიიჩნევს, რომ მისი ამოცანაა საბოლოო მშვიდობის მიღწევა თურქეთთან. 3. თურქეთთან სამშვიდობო ხელშეკრულება უნდა ეფუძნებოდეს 1914 წლამდე არსებულ საზღვრების აღდგენას.

საზავო დელეგაცია გაემგზავრა ტრაპიზონში, 1918 წლის 14 მარტს ტრაპზონში გაიხსნა კონფერენცია,რომელზეც ოსმალეთის დელეგაციის მეთაურმა

[11] ბრესტის ზავი 1918. http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php (უკანასკნელად გადამოწმებულია 01.06.2019)

რაუფ ბეიმ ამერიკავკასიის დელეგაციას მოთხოვა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკურლების ცნობა და ამის საფუძველზე არდაგანის (არტაანი), ყარსისა და ბათუმის ოლქებზე უარის თქმა. შექმნილ ვითარებაში ამიერკავკასიის მეთაურმააკაკი ჩხენკელმა დაარწუმნა დელეგაციის სხვა წევრები, რომ აუცილებელი იყო ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობებზე დათანხმება. ოსმალეთის დელეგაციის 6 აპრილის ულტიმატუმის საპასუხოდ, 10 აპრილს ტელეგრამაში ჩხენკელმა დელეგაციის სახელით თანხმობა განაცხადა ბრესტ-ლიტოვსკის ზაცის პირობების აღიარებასა და მოლაპარაკებების გაგრძელებაზე . თუმცა, ამიერკავკასიის დელეგაციამ იმ პერიოდში არ გაიაზრა ჩხენკელისა და თურქული მხარის მოსაზრება დამოუკიდებლობის აუცილებლობის შესახებ .[12]

სეიმის მთავრობამ პროტესტი გამოთქვა,ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობების გამო,მაგრამ ოსმალების წინსვლა არ შეჩერებულა: 1 აპრილს ისინი ბათუმში შევიდნენ და დაიწყო ომი სამხრეთ კავკასიასა და ოსმალეთს შორის. ჯარისა და შეიარაღების უკმარისობას ამძიმებდა აზერბაიჯანის გადაწყვეტილება,არ ჩარეულიყო ომში ოსმალეთის წინააღმდეგ,რადან ამიერკავკასიამ ფორმალურად, ჯერ კიდევ, რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა. [13]

აქედან გამომდინარე, მას არ შეეძლო საზავო მოლაპარაკების დამოუკიდებლად წარმოება. 15 აპრილს კონსტანტინოპოლის მიღებული კომუნიკეს თანახმად გადაწყდა ბათუმის აღება. ქალაქში თურქები წინააღდმეგობის გარეშე შევიდნენ. აჭარის მოსახლეობის ნაწილი მხარსი ამოუდგა თურქებს. ისინი აზიანებდნენ სარკინიგზო ლიანდაგებეს, აფეთქებდნენ მატარებლებს, ზურგიდან ესხმოდნენ თავს ქართულ არმიას, ამასთან, ხაზგასასმელია, რომ აჭარელთა დიდი ნაწილი პროქართილი ორიენტაციისა იყო.

---

[12] ნათელა დანგაძე. 1918-1921 წლებში საქართველო-თურქეთის ურთიერთობების ისტორიიდან „ქართველური მემკვიდრეობა“. თბილისი 2007. გვ.164

[13] სვანიძე მ. ბრესტის ზავი და საქართველო, „ქართული დიპლომატია“ წელიწდეული. ტ 3. თბილისი. 1996. გვ. 111.

სამშვიდობო ხელშეკრულების უფლებამოსილებისათვის თურქულმა მხარემ პირობა წამოაყენა, რომ ამერიკავკასიას დამოუკიდებლობა გამოეცხადებინა და ოფიციაურად გამოყოფილიყო რუსეთისაგან. [14]

1918 წლის აპრილში ოსმალეთის მხრიდან, ამგვარი ზეწოლის პირობებში გამოცხადდა ამიერკავკასიის დამოუკიდბელი ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა 27 მაისს კი ოსმალეთმა ოფიციალურად სცნო ეს ახალი სახემწიფო და თურქულ მხარეს გაუგზავნა ტელეგრამა, რომლის თანხმდაც ამერიკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკა ოფიციალურად აცხადებდა თაბხმობას ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობებზე და სთხოვდა ოსმალეთის ხელმძღვანელობას მოლაპარაკებების დაწყებას ბათუმში, როგორც ამისთვის ყველაზე შესაფერის ადგილზე, მოლაპარაკებათა დროს კი საომარი ოპერაციები უდან შეწყვეტილიყო.

შეიქმნა სახელმწიფო: ამიერკავკასიის დემოკრატიულ-ფედერაციული რესპუბლიკა. ომი მეორე დღეს შეწყდა, ხოლო 28 აპრილს აკაკი ჩხენკელმა, (ამიერკავკასიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა) მიიღო შეტყობინება, რომ ოსმალეთმა სცნო ამიერკავკასიის სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და ეს აცნობა თავის მოკავშირეებს.

1918 წლის 11 მაისს ბათუმში დაიწყო საზავო მოლაპარაკებები, ოსმალეთსა და ამიერკავკასიის სეიმის დელეგაციებს შორის. მოლაპარაკებებში შუამავლების როლს ასრულებდა გერმანიის დელეგაცია გენერალ მაიორ ოტოფონ ლოსოვის ხელმძვანელობით. ბათუმის საზღვაო მოლაპარაკებებში, ოსმალეთმა უკვე ჩართო ახალციხის, ახალქალაქის, ალექსანდროპოლის, ეჩმიაძინისა და სურმალინის მხარეების მისთვის გადაცემის მოთხოვნა.

ამიერკავკასიის ფედერაციულ-დემოკრატიული რესპუბლიკის დაშლისა და სამი სახელმწიფოს მიერ მასში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ბათუმში თითოეულ ამ ქვეყანასა და ოსმალეთს შორის დაიდო ხელშეკრულება

[14] Kazemzadeh F. „the struggle for Transcaucasia (1917-1921)“ new York. Filosofical library .1951. P.103-107.

„მშვიდობისა და მეგობრობის“ შესახებ, რომლითაც ოსმალეთი მოთხოვნილ ტერიტორიებს მთლიანად იღებდა. 24 მაისს აკაკი ჩხენკელის მიერ ბათუმიდან თბილისში გაგზავნილი ტელეგრამიდან:

„შეატყობინეთ შემდეგი საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს. დამოუკიდებლობის გამოცხადების გადავადებას მოჰყვა გამოუსწორებელი შედეგები გერმანელთა მხრიდან შუამავლობის მცდელობა წარუმატებლად დასრულდა. რჩება მხოლოდ ერთი გამოსავალი, გერმანიის მხარდაჭერილი საქართველოს წინააღმდეგობა აგრესიისადმი“. [15]

სამი ქვეყნის სახელმწიფოდ გაერთიანება არ იყო მყარი. ამ გაერთიანებას ხელს არ უწყობდა მაშინდელი საერთაშორისო ვითარებაც. სამხრეთ კავკასიაში გავლენის მოსაპოვებლად იბრძოდნენ გერმანია, ოსმალეთი და ანტანტის სახელმწიფოები. ასეთ ვითარებაში სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საგარეო ორიენტაცია ერთისგან განსხვავებული აღმოჩნდა. აზერბაიჯანელები მხარს უჭერდნენ ოსმალეთს. სომხეთი ანტანტის კავშირს, ხოლო ქართველები გერმანიის დახმარებით ფიქრობდნენ ოსმალეთის აგრესიის შეჩერებას. ოსმალეთი აღარ აკმაყოფილებდა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობებს. ამიერკავკასიის დელეგაციის პროტესტის საპასუხოდ ისინი ნელ-ნელა იკავებდნენ ახალ ტერიტორიებს.

საქართველოს მცირერიცხოვან შეიარაღებულ ძალებს არ შეეძლოთ წინააღმდეგობის გაწევა ოსმალეთის აგრესიისათვის. პოლიტიკურმა ძალებმა გადაწყვიტეს ოსმალეთის წინააღმდეგ მისივე მოკავშირე გერმანია გამოეყენებინათ. საქართველო გერმანიას ჭირდებოდა თურქეთის აგრესიისაგან თავდასაცავად, ხოლო შემდგომში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გარანტად. გერმანიას საქართველოს სჭირდებოდა თავისი აღმოსავლური პოლიტიკის ფორპოსტად.

[15] სვანიძე მ. „დიპლომატიური ბრძოლა ბათუმისა და ბათუმის ოლქისათვის 1918-1921 წლებში. ქართული დიპლომატია“, წელიწდეული, ტ.8. თბილისი. გვ. 156.

მოვლენები მართლაც აღნიშნული სცენარისა და მხარეების ურთიერთვალდებულებების მიხედვით განვითარდა.

1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ეს მოვლენა მაშინ ახალი ეპოქის დასაწყისად მიჩნიეს. ახალი ეპოქის, რომელსაც საქართველოსთვის განვითარება და მშვიდობა უნდა მოეტანა, თუმცა სამწუხაროდ მოვლენები სხვანაირად განვითარდა. 1920 წლიდან საქართველოს საგარეო ურთიერთობები გართულდა. ამავე წელს წითელი არმია ბაქოში შევიდა და აზერბაიჯანში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ეს ცუდი ნიშანი იყო საქართველოს იმდროინდელი მთავრობისათვის. აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ საქართველოს მთავრობას დამოუკიდებლობის საიმედო გარანტად მოეჩვენა რუსეთთან სამშვიდობო და სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება. ამ მიზნით იყო ელჩების გაცვლა გამოცვლაც. ჩამოყალიბდა ხელშეკრულების ტექსტი, რომელიც 1920 წლის 7 მაისს იქნა ხელმოწერილი. ამ ხელშეკრულების პირველივე მუხლით საბჭოთა რუსეთმა ყოველგვარი პირობის გარეშე ცნო საქართველოს სახელმწიფოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ხელშეკრულების მეორე მუხლით რუსეთმა აიღო ვალდებულება არ არეულიყო საქართველოს საშინაო საქმეებში.

ამრიგად საქართველოს მხარემ მიაღწია რუსეთის მხრიდან მისი დამოუკიდებლობისა და სუვერენულობის აღიარებას. ამ მხრივ ხელშეკრულება მნიშვნელოვანი იყო, თუმცა ამავე ხელშეკრულებას ახლდა განსაკუთრებით „საიდუმლო დამატება“.

კრემლში საქართველოს ბედი უკვეგადაწყვეტილი იყო , მაგრამ საქართველოსთან ხელშეკრულება ემსახურებოდა ორ მთავარ დანიშნულებას: ოპერაცია საგანგებოდ უნდა მომზადებულიყო, რადგან საქართველოს ძლიერი შეიარაღებული ძალები ყავდა ამასთან ერთდ საქაღტველოში შემოჭრას უნდა მისცემოდა გამართლება საერთაშორისო ასპარეზზე იმით, რომ საქართველოს

მთავრობამ თითქოს დაარღვია ხელშეკრულების პირობები. გასაბჭოების სცენარი ითვალსწინებდა საქართველოს სოციალისტურ გადატრიალებას შინაგანი ძალებით.

რუსეთის შემოჭრა საქართველოს ტერიტორიაზე და არმიის შემოყვანა წინაწარ დაგეგმილი მოვლენა იყო,.

საჭიროა ავღნიშნოთ, რომ საქართველოს იმ დროინდელი მთავრობა ამას მოუმზადებელი და დაუცველი შეხვდა, რადგანე მათ გულწრფელად სჯეროდათ ალბათ, რომ ევროპის ქვეყნები არ დაუშვებდნენ მსგავს ქმედებებს. არ დატოვებდნენ საქართველოს რუსეთის პირისპირ.

25 თებერვალს წითელი არმიის ნაწილები თბილისში უბრძოლველად შემოვიდნენ. ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რამაც ამ ომში გადამწყვეტი როლი ითამაშა, იყო თურქეთის ზურგიდან დარტყმა. სწორედ ამ პერიოდში მიმდინარეობდა მოლაპარაკებები საბჭოთა რუსეტსა და თურქეთს შორის. თურქეთი საქართველოს მთავრობას არადაგან-ართვისის საფასურად დახმარებას აღუთქვავდა. თითქოს ამ მოტივით შევიდნენ თურქული ჯარები აჭარაში, მაგრამ ბათუმის ანექსია გამოცხადდა. საბჭოთა რუსეთი თურქეთს ბათუმის არ დაუთმობდა. სწორედ 1921 წლის 16 მარტს მოსკოვში ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულება, რომლის მეორე მუხლით თურქეთმა საბჭოთა საქართველოს დაუმტკიცა სუვერენული უფლებები ბათუმზე. სამაგიეროდ თვითონ არტაანის და ართვინის ოლქები დაისაკუთრა.

თურქების აჭარაში შემოჭრამ დაამძიმა ვითარება. საქართველოს დემოკრატიულ მთავარობას გამოსავალი უნდა მოეძებნა. 1921 წლის 17-18 მარტს მოწვეულ იქნა ქუთაისის მოლაპარაკებები საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის. საბჭოთა რუსეთმა წამოაყენა წინადადება, რომ საქართველოს მთავრობას კაპიტულაცია გამოეცხადებინა და დანებებულიყვნენ. რაზეც ქართულმა მხარემ უარი განაცხადა. შეთანხმება მოხდა ფერთში დაუყოვნებლივ უნდა შემწყდარიყო

საომარი მოქმედებებეი. ბათუმში საბჭოთა ჯარის დახმარებით სურდა ქართულ მთავრობას თურქებისგან განთავისუფლება. ისინი ,როგორც "მეგობრული ძალა" ისე შევიდოდა ბათუმში. დემმოკრატიული მთავრობა, რომელიც ამ დროისათვის ბათუმში იმყოფებოდა, დაპირებას იძლეოდა, რომ გააგზავნიდა ცარიელ ვაგონებს ბათუმის ოლქში წითელი არმიის ნაწილების შემოსაყვანად.

ამრიგად, საქართვლოს დემოკრატიულმა მთავრობამ შესაძლებლობა მისცა წითელ არმიას უბრძოლველად ევლო წინ ბათუმის მიმართულები. თუმცა გენერალი მაზნიაშვილის ნაბწილებმა ბათუმის ოლქიდან თურქეთი განდევნეს მანამ, ვიდრე წითელი კავალერია ბათუმს მიაღწევდა. მათ იმავე დღეებში მიიღო გადაწყვეტილება ემიგრაციაში წასულიყო. მას ოკუპაცია არ გამოუცხადებია და იმდეოვნებდა, რომ ევროპის ქვეყნების დახმარებით დაიბრუნებდა საქართვლოს. 1921 წლის 18 მარტს დემოკრატიულმა მთავრობამ დამფუძნებელთა კრების ერთ ნაწილთან ერთად დაატოვა საქართველო და საფრანგეთისკენ წავიდა.

თავი II

ლაიცისტური თურქეთის ურთიერთობა საქართველოსთან

2.1. ანკარის მთავრობასა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობა

1920 წლის 24 სექტემბერს ოსმალეთსა და სომხეთ შორის დაიწყო ომი. ეს ომი ოსმალეთის უპირატესობით მიმდინარეობდა. სომხეთზე მოპოვებული სამხედრო გამარჯვების შედეგად თურქეთის ჯარები მოადგნენ საქართველოს საზღვრებს. შეიქმნა თურქეთის ჯარების საქართველოში შემოჭრის საშიშროება. საქართველომ სასწრაფო მობილიზაცია გამოაცხადა. ასეთ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თუ როგორ პოზიციას დაიკავებდა რუსეთიამ ამ საკითხში. საქართველოს ელჩი რუსეთში გ. მახარაძე შეხვდა საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარ გ.

ჩიჩერინს, რომელმაც განაცხადა, რომ რუსეთს არანაირი აგრესიული ზრახვები არ აქვს საქართველოს მიმართ. ამასთან ერთად რუსეთის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება სტალინი საგანგებო რწმუნებით ბაქოში გაეგზავნა, ამიერკავკასიაში მდგომარეობის გასარკვევად. ბაქოში მყოფი სტალინი ამზადებდა გეგმას რუსეთის ჯარის საქართველოში შესაჭრელად.

საქართველოს წინააღმდეგ შეტევის დაწყების გადადების მიუხედავად რუსეთი არ აპირებდა, როგორც ეს 1918 წელს მოხდა, დაეთმო ამიერკავკასია ოსმალეთისთვის. 1920 წლის აპრილის ბოლოს რუსეთის ჯარის დახმარებით აზერბაიჯანში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ამის შემდეგ იმავე მიზნით რუსეთის ჯარი სომხეთში შეიჭრა. ცხადია ასეთ ვითარებაში რუსეთი არ დაუშვებდა ოსმალეთის მიერ ბათუმის დაკავებას. ოსმალეთის ჯარი საქართველოს საზღვარზე იყო მომდგარი. ანკარის მთავრობამ დაინახა, რომ საქართველოში შეჭრის შემთხვევაში მოსალოდნელი იყო რუსეთის ჯართან შეტაკება. ეს კი მის გეგმაში არ შედიოდა. ქემალის მთავრობამ საქართველოს წინააღმდეგ ომის დაწყება არამიზანშეწონილად ჩათვალა და თბილისში თავისი წარმომადგენელი გამოაგზავნა.

13 ნოემბერს თბილისში ჩამოვიდა ანკარის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი პოლკოვნიკი ქიაზმ ბეი. მის ჩამოსვლას საქართველოში დადებითად შეხვდნენ.

საქართველოში მცხოვრები მუსულმანები საუკუნეებით განმტკიცებულ პატივისცემას იზიარებდნენ. ჩვენ ძალიან კმაყოფილი ვართ საქართველლოში მცხოვრებ მუსლიმანთა მშვიდობიანი ცხოვრებით. ეს გონიერი პოლიტიკა დააახლოებს საქართველოსა და ოსმალეთის მთავრობებს და უფრო განამტკიცებს მათ მეგობრულ კავშირს.

საქართველოში კეთილგანწყობილად შეხვდნენ თურქეთის წარმომადგენლის ჩამოსვლას და მის განცხადებას. გაზეთმა „საქართველომ“ მოათავსა მოწინავე

წერილი- „ჩვენ და ოსმალეთი“ , რომელშიც წერდა: „ჩვენ დიდი კმაყოფილებით შევიტყვეთ ანგორის მტავრობის წარმომადგენლის გამოსვლები მისი საქართველოსთან დამოკიდებლების შესახებ. თავისთავად ცხადია არ გამოვუდგებით იმას თუ რა განწყობილება სუფევდა ისტორიულად საქართველოსა და ოსმალეთს შორის. ავი იყო თუ კარგი ჩვენი ისტორიული მეზობლობა ისტორიას ჩაბარდა და წარსული მოტვივებით დღევანდელ ურთიერთობას ვერ დავასაბუთებთ“. 1920 წლის ოქტომბრის დამლევს ანკარში ჩავიდა საბჭოთა რუსეთის დიპლომატიური მისია, ხოლო 7 ნოემბერს გაიხსნა რუსეთის საელჩო. აღსაღნიშნავია,რომ რუსეთის წარმომადგენლად დაინიშნა შალვა ელიავა, მაგრამ ავადმყოფობის გამო მან ვერ შეძლო ანკარაში ჩასვლა და დეკემბრის ბოლოს რუსეთის ელჩად დაინიშნა ბუდუ მდივანი. [16]

საქართველოს მთავრობისათვის კარგად იყო ცნობილი ბოლშევიკების ზრახვები საქართველოს მიართ, ამიტომ შექმნილ ვითარებში საქართველოს მთავრობა დაინტერესებული იყო თურქეთთან კარგი ურთიერთობის დამყარებით.

საქართველოს სრულუფლებიან წარმომადგენლად ანკარაში დაინიშნა სვიმონ მდივანი, საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე. საქართველოს მთავრობის შემადგენლობაში შევიდნენ: გენერალ-მაიორი ალექსანდრე ერისთავი (სამხედრო მრჩეველი), არისტო ჭუმბაძე (საელჩოს საქმეთა მწარმოებელი), მელიტონ ქარცივაძე (სამხედრო ატაშე) და ა.შ.

1921 წლის 27 დეკემბერს საქართველოს დიპლომატიური მისია თბილისიდან გაემგზავრა,ბათუმში ჩავიდა, იქიდან კი ოსმალეთში, სადაც მას პატივით შეხვდნენ. ტრაპიზონში ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიიწვია ქართული ხელისუფლება, რომელიც დაესწრო ოსმალეთის დამოუკიდებლობის დღესასწაულს.

1921 წლის 31 იანვარს საქართველოს ელჩობა ისევ ჩავიდა ანკარაში. 2 თებერვალს სვიმონ მდივანმა ინახულა თურქეთის საგარეო საქეთა მინისტრი,

[16] ე.მაკარაძე. „თურქეთის ისტორია“. თბილისი. 1918-2018წწ. გვ.55

რომელმაც აცნობა, რომ პირველი ოფიციალური შეხვედრა და რწმუნების სიგელის გადაცემა მოხდებოდა 8 თებერვალს.

ანკარში ჩასვლის შემდეგ საქართველოს მისიამ შეიტყო სასიხარულო ცნობა: წამყვანმა სახელმწიფოებმა- ინგლისმა, საფრანგეთმა, აშშ-მა, გერმანიამ, იტალიამ, ესპანეთმა და სხვებმა ცნეს საქართველო დე-იურე და გამოთქვეს სურვილი, დაემყარებინათ მასთან დიპლომატიური ურთიერთობა.

8 ტებერვალს 15:00 სათზე დაინიშნა მუსტაფა ქემალ ფაშასთან ოფიციალური აუდიენცია. ამ ვიზიტის შესახებ ოფიციალურ მასალასთან ერთად, მეტად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ამ შეხვედრის მონაწილე დიმიტრი შალიკაშვილი. შეხვედრა მოხდა მუსტაფა ქემალის კაბინეტში. ამ შეხვედრას საქართველოს წარმომადგენლობის მთელი შემადგენლობა დაესწრო.

ოფიციალური სიტყვების შემდეგ გაიმართა მოლაპარაკება.სვიმონ მდივანმა მუსტაფა ქემალს გადასცა რწმუნების სიგელი და მისალმების შემდეგ გაიმართა საუბარი. სვიმონ მდივანმა თქვა:

„დიპლომატი არა ვარ, ამ სიტყვის ძველი მნიშვნელობით, არ ვიცი წესები საიდუმლო დიპლომატისაა და გამოგზავნილი ვარ აქ, რადგან ყველაფერი აქაურ მოლაპარაკებში გულწრფელობაზე იქნება დამოკიდებული“.

ამ შეხვედრაზე საუბრის დროს განიხილეს სხვა საკითხებიც. მაგ. კავკასიის საკითხი. შეხვედრა მეგობრულ ვითარებაში ჩატარდა. მოცემული ვითარებიდან გამომდინარე მუსტაფა ქემალი აშკარად დაინტერესებული იყო ამიერკავკასიაში დამოუკიდებელი და ძლიერი საქართველოს არსებობით და მასთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებით. ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებას დიდი მნიშვნელობა ქონდა, მათ შორის პოლიტიკური , ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის განვითარების საქმეში.

ამრიგად 1921 წლის 8 ტებერვალს ანკარის თავრობამ ცნო საქართველო დე-იურედ და დაამყარა მასთან დიპლომატიური ურთიერთობა.

2.2. საქართველოს საკითხი მოსკოვის მოლაპარაკებებსა და ყარსის ხელშეკრულებაში

მოსკოვში საბჭოთა რუსეთსა და ანკარის დელეგაციებს შორის მოლაპარაკების შედეგად შემუშავებული იქნა ხელშეკრულება მეგობრობის შესახებ, რომელიც 1920 წლის 24 აგვისტოს პარაფირებულ იქნა ორივე მხარის მიერ. ხელშეკრულების საბოლოო ტექსტი არ იქნა გაფორმებული იმის გამო, რომ ამ დროს არ იყო დადგენილი ამიერკავკასიაში.

1921 წლის იანვრის დამდეგს საბჭოთა რუსეთის მთავრობამ შესთავაზა ანკარის მთავრობას განახლებულიყო მოლაპარაკება. დასადგენი იყო ორ ქვეყანას შორის საზღვარი. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მიმართა რუსეთის მთავრობას წინადადებით მონაწილეობა მიეღო მოსკოვის მოლაპარაკებაში, მაგრამ ეს წინადადება უარყვეს. საქართველოს საკითხი მოსკოვის მოლაპარაკების დროს წყდებოდა საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლის გარეშე. ამ დროს საბჭოთა რუსეთს გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოს ოკუპაცია მოეხდინა. თავის მხრივ, ანკარის მთავრობასაც ტერიტორიული პრეტენზიები ჰქონდა საქართველოს მიმართ... ასეთ ვითარებაში რუსეთმა და თურქეთმა, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, გადაწყვიტეს მოლაპარაკების დაწყებამდე ხელთ ეგდოთ საქართველოს ტერიტორია და შედეგები გაეფორმებინათ ხელშეკრულებით.

ორივე მხარემ დაიწყო თავისი გეგმების რეალიზაცია. ჯერ კიდევ 1920 წლის 18 დეკემბერს მე-11 არმიის სარდალმა ა. ჰეკერმა შეადგინა საქართველოზე თავდასხმის საიდუმლო გეგმა და ბოლშევიკები მისი განხორციელებისათვის

ხელსაყრელ დროს ელოდნენ. აზერბაიჯანსა და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ბოლშევიკები შეუდგნენ საქართველოს წინააღმდეგ ომის სამზადისს.

საქართველოს წინააღმდეგ ომის დროს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თუ როგორ პოზიციას დაიკავებდა ანკარის მთავრობა. 1921 წლის 11 თებერვალს ლორეს რაიონში ე.ი. „ნეიტრალურ ზონაში“ მოწყობილი ინცინდენტის შედეგად მე-11 არმია სომხეთიდან შემოიჭრა საქართველოს საზღვრებში და შეუდგა საქართველოს ოკუპაციას. ამით რუსეთმა დაარღვია 1920 წლის 7 მაისის საქართველოსთან დადებული ხელშეკრულება. 15 თებერვალს რუსეთის ჯარებმა შეტევა დაიწყეს აზერბაიჯანიდანაც.

ნოე ჟორდანიამ, საბჭოთა რუსეთის ჯარის საქართველოში შემოჭრასთან დაკავშირებით, მოსკოვს მიმართა, მაგრამ საგარეო საქმეთა კომისიის მოადგილემ ლ. კარახანმა უარი განაცხადა მასთან მოლაპარაკებაზე.

თურქებმა კი მოლაპარაკებებისას ახალი მოთხოვნები წამოაყენეს ბათუმის ოლქში ჩატარებულიყო „ნომინალური“ პლებისციტი და კიდევ გადასცემოდა ართვინის ოლქიც. ანკარის მთავრობამ საქართველოს მთავრობას გადასცა ულტიმატუმი და დაუყოვნებლივ მოთხოვდა ჯარის გაყვანას არტაანიდან და ართვინიდან წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში ძალით მოახდენდა მათ ოკუპაციას საქართველომ გამოიყვანა ჯარი ამ რეგიონებიდან. თურქეთის ჯარებმა 1920 წლის 23 თებერვალს დაიკავეს ართვინი და არტაანი.

თურქეთის დელეგაცია თვლიდა, რომ საზღვარი თურქეთსა და სომხეთს შორის დადგინდა 1920 წლის 2 დეკემბერს გუმრის ხელშეკრულებით და არ აპირებდა მის გადასინჯვას. რაც შეეხება საქართველოსთან საზღვარს, იგი მოითხოვდა ადგენილიყო 1918 წლის 4 ივნისის ბათუმის თურქეთ-საქართველოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღვარი, ხოლო საბჭოთა რუსეთის დელეგაცია მოითხოვდა, რომ საქართველო-თურქეთის საზღვარი დადგენილიყო

1920 წლის 7 მაისის მოსკოვის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების საფუძველზე ე.ი. საქართველოს ხელში დარჩენილიყო ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები, ბათუმი და ბათუმის ოლქი. თურქეთი ამაზე არ თანხმდებოდა და ომის გზით აპირებდა ამ საკითხის გადაწყვეტას.

1921 წლის 2 მარტს შედგა თურქეთის გენერალური შტაბის სხდომა, 3 მარტს კი მინისტრთა საბჭოსი, რომლებზედაც განიხილეს ბათუმის, ახალციხისა და ახალქალაქის ოკუპაციის საკითხი.

ამავე დროს, თურქეთის მთავრობამ გადადგა ნაბიჯი დიპლომატიური გზით საქართველოში რუსეთთან სამხედრო კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით.

ამრიგად, თურქეთის მთავრობამ გააფრთხილა საბჭოთა რუსეთის მთავრობა, არ შეეყვანა თავისი ჯარები იმ ადგილებში, რომლებზეც თურქეთი აცხადებდა პრეტენზიას.

საქართველოს მთავრობის იმედი, რომ თურქეთი აღმოუჩენდა საქართველოს დახმარებას რუსეთის წინააღმდეგ ომში, ილუზია იყო. თურქეთის მთავრობას არასოდეს არ განუხილავს რეალურად საქართველოსთვის სამხედრო დახმარების საკითხი.

მიუხედავად იმისა, რომ ანკარის მთავრობამ არ შეასრულა დაპირება და არ აღმოუჩინა სამხედრო დახმარება, საქართველოს მთავრობა მაინც იმედს არ კარგავდა და კვლავ მიმართა მას დახმარებისათვის.

თურქეთის მთავრობასთან მოლაპარაკების შედეგად საქართველომ მიაღწია ამგვარ შეთანხმებას:

ქართული სამოქალაქო ხელისუფლება თავის ადგილზე რჩება და საქართველოს მთავრობის უზენაესობა ვრცელდება თურქეთის ჯარის მიერ დაკავებულ ოლქებში. ქართული ჯარი საჭიროების შემთხვევაში დაეხმარება თურქულს ოკუპაციის საქმეში. ეს სამხედრო ოკუპაცია გავრცელდება სანამ მდგომარეობა საქართველოსი და ამიერკავკასიისა საბოლოოდ გამოირკვეოდეს;

ორივე (თურქეთი და საქართველო) იმოქმედებს ერთად. ამიერკავკასიის ხალხთა და სახელმწიფოთა კონფედერაციის დაარსებამდე; ესაა მთავარი პირობა, რომელზე დაყრდნობით ახლო მომავალში წვრილმანიც უნდა გამომუშავდეს. თურქეთის მთავრობის პასუხი კი ასეთი იყო: თურქულს ჯარს ოკუპაციის საქმეში არ დასჭირდება ქართული ჯარის დახმარება; თურქული ოკუპაციური ჯარი აგზავნის თავის წარმომადგენელთ ქართულ სამოქალაქო ხელისუფლებასთან; ამ ოლქებში ორივე მთავრობის თანხმობით მოხდება პლებისციტი ეს უკანასკნელი პირობა მხოლოდ მოჩვენებითია, თორემ სინამდვილეში არავითარი პლებისციტი არ იქნება, რის გარანტიასაც იძლევიან მინისტრები: საგარეო საქმეთა, განათლებისა და მეურნეობისა.

ამ შეთანხმების შემდეგ საქართველოს მთავრობამ ნება დართო ანკარის მთავრობას, შეეყვანა ჯარები ბათუმის ოლქში და სხვაგანაც. ანკარის მთავრობამ არ დააყოვნა და დაიწყო თავისი ჯარების შეყვანა ბათუმის ოლქში.

მიუხედავად ამისა თურქები აგრძელებდნენ წინსვლას და მათ დაიკავეს ბათუმი.

თურქები არ აპირებდნენ რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმას. ასეთ ვითარებაში ჟორდანიამ გადაწყვიტა, დაეწყო მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლებთან და მათი დახმარებით განედევნა თურქები ბათუმიდან.

ქუთაისში ჩატარდა მოლაპარაკება. საბჭოთა მხრიდან მონაწილეობდნენ ა. ენუქიძე, მ. ორახელაშვილი, ა. სვანიძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მხრიდან მოლაპარაკებაში მონაწილეობდა სამხედრო მინისტრი გრ. ლორთქიფანიძე. მოლაპარაკების შედეგად შეთანხმდნენ, რომ დაუყოვნებლივ შეწყვეტდნენ საომარ მოქმედებას. დემოკრატიული მთავრობა საბჭოთა რუსეთის ჯარს ნებას რთავდა, ბათუმის ოლქში შესულიყო და განედევნა იქიდან თურქეთის სამხედრო ნაწილები. დემოკრატიული მთავრობა, რომელიც ამ დროს ბათუმში

იმყოფებოდა, დაპირებას იძლეოდა, რომ მისცემდა ვაგონებს ბათუმში წითელი არმიის ნაწილების სასწრაფოდ შესაყვანად.

ამრიგად, საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ საშუალება მისცა წითელ არმიას, საჯავახოდან პირდაპირ წასულიყო ბათუმისაკენ თურქეთის იქიდან განდევნის მიზნით.

ჟორდანიას განკარგულებით, ბათუმის ციხიდან გაათავისუფლეს ბოლშევიკები და მათ შორის ს. ქავთარაძე, რომელიც სათავეში ჩაუდგა ბათუმიდან თურქების განდევნის ორგანიზაციას.

ქიაზიმ ბეიმ თავისი თავი გამოაცხადა ბათუმის გენერალ-გუბერნატორად. 1921 წლის 18 მარტს ქალაქის ქუჩებში გაიმართა ბრძოლები ოსმალეთის ჯარებსა და საქართველოს ჯარის ნაწილებს შორის, რომელსაც გენერალი მაზნიაშვილი ხელმძღვანელობდა, ბრძოლაში მონაწილეობდა ქალაქის მოსახლეობაც. ქიაზიმ ყარაბექირ ფაშა განაგრძობდა წინააღმდეგობის გაწევას.

1921 წლის 19 მარტს ბათუმში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. 19 მარტს, საღამოს, რევკომსა და ქიაზიმ ბეის შორის დაიდო დროებითი ზავი, რომლის მიხედვითაც ორივე მხარე რჩებოდა თავიანთ პოზიციებზე, მოსკოვის ხელისუფლების მიღებამდე, ქიაზიმ ბეიმ განაცხადა, რომ იგი დაუყოვნებლივ გაიყვანს თურქეთის ჯარებს ბათუმის ოლქიდან, როგორც კი გაეცნობა მოსკოვის ხელშეკრულებას და დარწმუნდება მის სისწორეში, მაგრამ იქვე გააკეთა შენიშვნა, რომ ეს უნდა იყოს ანკარის მთავრობის გადაწყვეტილებაც.[17]

ცხარე დიპლომატიური ჭიდილისა თუ სამხედრო ბრძოლების შედეგად ახალციხე, ახალქალაქი, ბათუმი და აჭარა დაუბრუნდნენ თავის სამშობლოს.

მოსკოვის ხელშეკრულების მე-15 მუხლის შესაბამისად, ყარსში 26 სექტემბრიდან 13 ოქტომბრამდე ჩატარდა კონფერენცია ამიერკავკასიის რესპუბლიკებსა და თურქეთის წარმომადგენლებს შორის, საბჭოთა რუსეთის

[17] მ. სვანიძე. ბათუმის კონფერენცია (და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება) 1918 წლის 11 მაისი-4 ივნისი). ქართული დიპლომატია, წელიწდეული, ტ.6, თბ. 1999. გვ 234.

წარმომადგენლის მონაწილეობით. კონფერენციაზე თურქეთის დელეგატმა წამოაყენა წინადადება - თითოეულ ამიერკავკასიის რესპუბლიკასთან ცალ-ცალკე სეპარატისტული ხელშეკრულების დადების შესახებ. ეს წინადადება არ იქნა მიღებული.

ყველაზე დიდი კამათი გამოიწვია საზღვრის საკითხმა. ამიერკავკასიის დელეგაციამ მოითხოვა, თურქეთ-საქართველოსთვის დაეთმო სოფელ სარფის სამხრეთ ნაწილი, ხოლო სომხეთისათვის - ისტორიული ქალაქის, ანის, ნანგრევები. თურქეთი არავითარ დათმობაზე არ წავიდა. თურქეთის დელეგაცია უარს აცხადებდა მოსკოვში დადგენილი საზღვრების შეცვლაზე. თურქეთს სურდა მიეღო ფართო შეღავათები ბათუმის ნავსადგურზე კონტროლის დაწესების მიზნით, მაგრამ უშედეგოდ.

13 ოქტომბერს ყარსში ამიერკავკასიის რესპუბლიკებსა და თურქეთს შორის დაიდო ხელშეკრულება. ყარსის ხელშეკრულება იმეორებდა მოსკოვის ხელშეკრულების დებულებას და შედგებოდა 20 მუხლისა და 3 დამატებისაგან. ხელშეკრულების პირველი მუხლით ოფიციალურად გაუქმდა 1918-1920 წლებში ხელმოწერილი ხელშეკრულებები ამიერკავკასიის მთავრობებსა და ოსმალეთის მთავრობას შორის.

ყარსის ხელშეკრულება აფართოებდა და ამტკიცებდა ამ ქვეყნებს შორის ეკონომიკურ და კულტურულ კავშირებს. თურქეთისათვის ყარსის ხელშეკრულებას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, მან მოხსნა ომის საშიშროება კავკასიაში და უზრუნველყო თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვრების ხელუხლებლობა.[18]

2.3. თურქეთის ტერიტორიული პრობლემა II მსოფლიო ომის ბოლოს და საქართველო

[18] რ. ყავრელიშვილი. ამიერკავკასიის კომისარიატის პოლიტიკური ურთიერთობის ისტორია (1917)ახალციხე-ყარსის სიმპოზიუმის შრომები, ახალციხე-ყარსი. თბილისი. 2001. გვ. 110.

მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობა ახლო აღმოსავლეთისათვის ძირეულად განსხვავდებოდა პირველი მსოფლიო ომის დროს არსებული სიტუაციისგან. აღარ არსებობდა ოსმალეთის იმპერია, რომლის შენარჩუნებასა თუ დაშლაზე ერთმანეთს დაუპირისპირებოდნენ ახლო აღმოსავლეთის ხალხები.

ოცდაათიანი წლების მიწურულს საკმაოდ მკაფიოდ იყო გამოკვეთილი, რომ თურქეთი ნებიმიერ ფასად შეეცდებოდა თავი აერიდებინა ომში ჩაბმისგან. თურქეთს მწარედ ახსოვდა პირველ მსოფლიო ომში მიღებული გამოცდილება, თუმცა მეორე მსოფლიო ომის წინ შექმნილ ვითარებაში ევროპაში მიმდინარე პროცესებიდან განზე დგომა მეტად რთული იყო.

ქვეყნისათვის ომის პერიოდი მძმე გამოდგა. თურქეთს სურდა მშვიდობიანა ეარსება გამარჯვებული სახელმწიფოების გვერდით მაგრამ საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე გაურვეკველი რჩებოდა თუ ვისკენ გადაიხრებოდა გამარჯვებული ვექტორი.

საბჭოთა საქართველოს ჰიპოთეტური გაფართოება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ 1920 წელს დეკლარირებულ საზღვრებამდე (რომლებიც მეზობლებთან დელიმიტირებული და ამდენად არც დემარკირებული არ იყო), როგორც ჩანს, ნიშნავდა იმპერიის დროინდელი ბათუმის ოლქში შემავალი ართვინის ოკრუგის ოთხი ათასზე ოდნავ მეტს კვადრატული კილომეტრის მქონე ტერიტორიის მიღებას.

ტეიროტირიაზე, რომელიც ქართველებისთვის ტაო-კლარჯეთი იყო, თურქეთისათვის - ჩრდილო-აღმოსავლეთ ტერიტორია, სომხებისთვის - აღმოსავლეთ სომხეთის ნაწილი, ადგილობრივი მოსახლეობა, თუნდაც ის ქართული წარმოშობისა ყოფილიყო, უმეტესწილად თურქულენოვანი და მთლიანად მუსლიმი იყო. მისი დაბრუნება ქართულ კულტურულ გარემოშ გაძნელდებოდა.

ომის საწყის ეტაპზე საბჭოთა კავშირს,არ ჰქონია ტერიტორიული თუ სხვა სახის პრეტენზიები თურქეთის მიმართ.საბჭოთა ხელმძღვანელობა იზიარებდა დიდი

ბრიტანეთის მთავრობის აზრს,რომ აუცილებელიიყო თურქეთის კეთილგანწყობის შენარჩუნება.

მაგრამ ომის დასკვნით ეტაპზ და განსაკუთრებით მისი დამთავრების შემდეგ,საბჭოთა კავშირი მიზანმიმართულად ცდილობდა მონტრეს კონვენციის რევიზიას იმ მიზნით,რომ სრუტეებში გასვლის უფლება მხოლოდ ზღვის მოსაზღვრე ქვეყნებს ჰქონოდათ.რუმინეთსა და ბულგარეთის „სახალხო დემოკრატებად“ქცევის პირობებში,პრაქტიკულად ამას შეეძლო შავი ზღვა საბჭოთა ტბად ექცია.მონტრეს კონვენციის გადასინჯვის საკითხი სტალინმა 1944 წლის დეკემბერში მოსკოვში,ხოლო შემდეგ 1945 წლის თებერვალში იალტის კონფერენციაზე დააყენა(თუმცა ამ დროს საბჭოთა ხელმძღვანელობას არ გამოუთქვამს ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთის მიმართ).თავის მხრივ,ცივი ომის დაწყების შემდეგ,თურქეთი და აშშ მოითხოვდნენ სრუტეების საერთაშორისო საწყალოსნო გზად შენარჩუნებას,რომელიც ღია უნდა ყოფილიყო როგორც სავაჭრო,ისე სამხედრო გემებისათვის.ეს ამერიკულ სამხედრო გემებს საშუალებას აძლევდა ჩვეულებრივ შესულიყვნენ სრუტეებში მონტრეს კონვენციის მიხედვით.საბჭოთა კავშირი მაინც აგრძელებდა პილომატიურ და პროპაგანდისტულ მუშაობას თურქეთის დასაშინებლად. ტერიტორიული მოთხოვნის საკითხი ულტიმატური ფორმით იქნა დაყენებული მოსკოვის 1946 წლის 7 აგვისტოს ნატოში, რაც დიპლომატიური თვალსაზრისით სრულებით უდროო ნაბიჯი იყო. „ცივი ომი“ დაიწყო და ასეთი ვიტარება შეიქმნა, რომ თუ საბჭოთა კავშირი თურქეთი შეიჭრებოდა , აუცილებლად აიმხედრებდა ამერიკას.

1952 წელს თურქეთი ნატოს წევრი გახდა და ამ სამხედრო -პოლიტიკური ბლოკის სამხრეთი ფლანგი უშუალოდ საბჭოთა კავშირის, კერძოდ, სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების, საზღვარს მიებიჯნა. თურქეთის ტერიტორიაზე შეიქმნა ამერიკული სამხედრო ბაზები, სადაც 1952-1963 წლებში ბირთვული იარაღი

ინახებოდა და საბჭოთა, მათ შორის კავკასიაში მდებარე, სახმედრო ობიქტებზე და ქალაქებზე დამიზნებული რაკეტები მუდმივ მზადყოფნაში იყო.

II მსოფლიო ომის დამთავრების დროისათვის ამერიკელ პოლიტიკოსებს ეჭვი ეპარებოდათ,რომ საბჭოთა ლიდერებს განზრახული ჰქონდათ ძალის გამოყენება თურქეთის წინააღმდეგ თავიანთი მიზნების მისაღწევად.ის,რომ საბჭოთა კავშირს სურდა მონტეს კონვენციის გადასინჯვა,ბაზების შექმნა დარდანელის სრუტეში,ასევე ყარსისა და არდაჰანის ოლქების შემოერთება,უფრო შორეულ პერსპექტივად.

1878-1918 წლების საზღვრების აღდგენის საკითხის გადაწყვეტისას,საქართველოს სსრ-ს პრეტენზია შეიძლება გამოეხატა მის შემადგენლობაში მყოფ ბათუმის ოლქის სამხრეთი სექტორისა და ყოფილი ართავინის,არდაჰანის და ოლთისის ოლქების შესვლის თაობაზე,12760კვ.კმ საერთო ფართობით.

თუკი თურქეთის შემადგენლობაში შესული ტერიტორიების საკითხის დაყენება ამას მოითხოვდა,მაშინ საქართველოს სსრ-ს შეეძლო დაესაბუთებინა საკუთარი უფლებები თავისი ისტორიული პროვინციის-სამხრეთ-დასავლეთ მესხეთის ხუთი რაიონიდან სამზე -პარახალის,თორთომის და ისპირის რაიონებზე...

1946 წლის 7 აგვისტოს საბჭოთა მთავრობამ თურქეთის მთავრობას ნოტა გაუგზავნა,რომელშიც ჩამოყალიბებული იყო სრუტეებთან დაკავშირებით საბჭოა პოზიცია:თურქეთისა და საბჭოთა კავშირს,რომელთაც ველაზე მეტად შეეძლოთ სრუტეებში კომერციული ნავიგაციის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა,არ უნდა დაეშვათ სრუტეების გამოყენება სხვა ქვეყნების მიერ,რომელთაც შავი ზღვის სახელმწიფოების მიმართ "მტრული განზრახვები" ჰქონდათ. ამერიკული პოზიცია განსხვავებული იყო და ეფუძნებოდა სრუტეების საერთაშორისო დაცვის სისტემის შექმნის იდეას,რომელიც უზრუნველყოფდა შავ ზღვაზე უსაფრთხოებას.საბჭოთა მოთხოვნებზე აშშ0ის 1946 წლის 19 აგვისტოსა და

2 ნოემბრის პასუხებში,ხაზგასმული იყო,რომ სრუტეების უსაფრთხოების საკითხი არ ეხებოდათ მხოლოდ შავი ზღვის სახელმწიფოებს.თავის მხრივ,1946 წლის 22 აგვისტოს წერილში,თურქეთის მთავრობა კატეგორიულად უარყოფდა საბჭოთა კავშირის მოთხოვნებს ერთოვლივი საბჭოთა-თურქული თავდაცვითი სისტემების შექმნის შესახებ სრუტეებში,თუმცა მზადყოფნას გამოთქვამდა მონტრეს კონვენციის ზოგიერთი პუნქტის გადახედვაზე.[19]

საბჭოთა ზეწოლის პირობებში,თურქეთმა დახმარებისათვის აშშ-ს და ბრიტანეთს მიმართა.დახმარებასაც არ დაუგვიანია და გამოიხატა ტრუმენის დოქტრინითა და მარშალის გეგმით.თურქეთის დასავლეთთან კავშირის ფორმალიზება მოხდა ქვეყნის ნატო-ში გაერთიანებით (1949) და შემდეგ ბაღდადის პაქტში გაწევრიანებით,რომლის მიზანიც ახლო აღმოსავლეთში სსრკ-ს შეკავება იყო. მაგრამ ბაღდადის პაქტის შექმნამდეც,სტალინის სიკვდილიდან სულ მალე,პრობლემა მოიხსნა.მოლოტოვმა 1953 წლის ივლისში გამოაცხადა,რომ „საქართველო და სომხეთი შესაძლებლად მიიჩნევენ თქვან უაღი თურქეთისადმი ტერიტორიულ მოთხოვნებზე.საბჭოთა მთავრობა შესაბამისად ადასტურებს,რომ სსრკ-ს არა აქვს ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთის მიმართ“.

თურქეთისა და ირანის კრიზისი საბჭოთა კავშირის სრული მარცხით დასრულდა.მსოფლიო პოლიტიკის ახალმა მთავარმა აქტორმა აშშ-მა დროებით მაინც შეძლო შეეკავებინა სსრკ-ის იმპერიალისტური ამბიციები ახლო აღმოსავლეთში.

[19] გ.სანიკიძე, გ.ალასანია, ნ.გელოვანი, ახლო აღმოსავლეთის ისტორია (თბილისი, 2011) გვ.754.

თავი III

საბჭოთა კავშირის დაშლის პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები თურქეთ-საქართველოს ურთიერთობებში.

3.1. თურქეთისა და რუსეთ-ირანის ინტერესები საქართველოში

თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა რეგიონში მწვავე დაპირისპირებით გამოირჩეოდა. გარდამავალი უპირატესობით მიმდინარე დაპირისპირება თითქმის მთელი XX საუკუნის განმავლობაში სამხრეთ კავკასიაში საბჭოთა რუსეთის ჰეგემონობით აღინიშნებოდა.

XX საუკუნის 90-იან წლებში სამხრეთ კავკასიაში შემოსვლას იწყებს დასავლური და თურქული კაპიტალი, რაც თანდათანობით რუსული გავლენის შესუსტებას იწვევს. დღეისათვის რეგიონში მიმდინარე პროცესები დიდი სახელმწიფოების მიერ პოზიციებისგანმტკიცებისათვის ბრძოლის გამოხატულებაა. ამ მხრივ, სამხრეთ კავკასიაში საკუთარი ინტერესების დაცვისათვის, რუსეთ-თურქეთის დაპირისპირება გამოირჩევა.

თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა რეგიონში მწვავე დაპირისპირებით გამოირჩეოდა. დღეისათვის ორი თანამედროვე სახელმწიფოს წინაპარი იმპერიები ერთმანეთს ეცილებოდნენ ისეთ საპირისპირო მხარეს მდებარე რეგიონებში, როგორებიცაა ბალკანეთი და კავკასია. გარდამავალი უპირატესობით მიმდინარე დაპირისპირება თითქმის მთელი XX საუკუნის განმავლობაში სამხრეთ კავკასიაში საბჭოთა რუსეთის ჰეგემონობით აღინიშნებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ცივი ომის დასრულების შემდეგ რუსეთი და თურქეთი აქტიურ ეკონომიკურ პარტნიორებად მოგვევლინნენ. მათი ეკონომიკური თანამშრომლობის დონე ყოველწლიურად იზრდება. თუმცა, ამავე დროს ორ ქვეყანას ქვეყანას შორის სერიოზული დაპირისპირებაა. [20]

რუსეთ-ირანის მეორე ომის შედეგად და 1828 წლის შეთანხმებით რუსეთის კავკასიაში ბატონობა განმტკიცდა. შეთანხმებით დადგენილი საზღვრები დღემდე უცვლელია, რომელმაც აზერბაიჯანი ორ ნაწილად გაყო. რუსეთის შემადგენლობაში შევიდა ჩრდილოეთ აზერბაიჯანი, ყარაბაღი, ნახიჩევანი და სომხეთის ნაწილი. რუსეთმა კასპიაში ფლოტის განთავსების უფლება და განსაკუთრებული კომერციული პრივილეგიები მიიღო. შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ რუსეთმა სომხები ირანიდან და ოსმალეთის იმპერიიდან ყარაბაღის ტერიტორიაზე დაასახლა. 1829 წლის ადრიანოპოლის შეთანხმებით ოსმალეთმა რუსეთს კავკასიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაუთმო.[21]

ცივი ომის დასრულების შემდეგ თურქეთი სრულიად ახალ გარემოში აღმოჩნდა, რაც ანკარას საგარეო პოლიტიკის ძირეული გადახედვისკენ უბიძგებდა. გაქრა საბჭოთა კავშირიდან მომავალი საფრთხე, რამაც თურქეთ-რუსეთის ურთიერთობაზე თავისი პოზიტიური გავლენა მოახდინა. საბჭოთა-თურქული დაძაბულობა შენელებას ჯერ კიდევ 1985 წელს საბჭოთა კავშირის სათავეში მიხეილ გორბაჩოვის მოსვლის შემდეგ იწყებს. ორ ქვეყანას შორის ეკონომიკურ თანამშრომლობაში შესამჩნევი პროგრესი იგრძნობა. ეს პროცესი 1991 წლის მარტში თურქეთისა და საბჭოთა კავშირის პრეზიდენტების, ოზალისა და

---

[20] კუნჭულია ლ, საქართველოს საფრთხეები რუსეთ-თურქეთის დაპირისპირების გამწვავების შემთხვევაში. ნოემბერი; 2015. http://www.radiotavisupleba.ge/a/ruset-turketis-urtiertoba-da-sakartvelo/27386382.html (უკანასკნელად გადამოწმებულია 02.06.2019)

[21] ქორთუა ნ. ამიერკავკასია რუსეთ-ირანის 1826-1828 წლების ომში: რუსი და ამიერკავკასიის ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, თბილისი, განათლება, 1978. გვ. 33

გორბაჩოვის მიერ მეგობრობისა და კეთილმეზობლობის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერით დასრულდა.

1991 წელს საბჭოთა კავშირის დეზინტეგრაციის შემდეგ მოსკოვის ხელშეწყობით რეგიონული კონფლიქტების ,,პანდორას ყუთი" გაიხსნა, ძირითადად სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებში: საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. კონფლიქტებში თურქეთი და რუსეთი სხვადასხვა ბანაკებში აღმოჩდნენ. ამის მიუხედავად, თურქეთი სტრატეგიული და ეკონომიკური ფაქტორების გამო მოსკოვთან დაპირისპირებას ერიდებოდა. შედეგად თურქეთი იძულებული იყო რუსეთთან ურთიერთობაში დელიკატური პოლიტიკა გაეტარებინა, რათა ბალანსი დაეცვა კავკასიისა და ცენტრალური აზიის მუსლიმური და ძირითადად თურქულენოვანი ხალხების მიმართ სიმპატიასა და ანკარას სურვილს შორის, მოსკოვი რუსეთის ,,ახლო საზღვარგარეთში" მონოპოლიის დაბრუნებაში შეეჩერებინა. თურქეთის პოლიტიკის ამოცანა იყო რუსეთში საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მხარდაჭერა და რუსეთის სამხედრო ძალასთან პირდაპირი შეტაკების თავიდან აცილება. თუმცა, რუსეთის საგარეო პოლიტიკის გაურკვევლობა და ცვალებადი მიმართულებები თურქეთის საგარეო პოლიტიკის მესვეურებს და მათ დასავლეთელ კოლეგებს პრობლემებს უქმნიდა.[22]

კავკასიის რეგიონში გავლენის გასაძლიერებლად ირანი და თურქეთი ატიურად იბრძვის და ამ ბრძოლაში ირანის აშკარა მოკავშირედ გარკვეულ გეოპოლიტიკურ საკითხებში რუსეთიი გვევლინება. სულ რაღაც 150 წლის წინ, დღევენდელი ცენტრალური კავკასიის ქვეყნების გარკვეული რეგიონები შედიოდნენ ოტომანთა ან სპარსეთის შემადგენლობაში, ან მათი ვასალები იყვენენ. დღეს კავკასიის ხალხს ირანსა და თურქეთში ძლიერი დიასპორა ჰყავთ, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ თურქეთისა და ირანის როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკაში, და ასევე ტერიტორიები, რომლებიც იდენტიფიცირებულია

[22] ა. იმედაიშვილს საქართველო-თურქეთის ურთიერთობების ახალი ერა, „ხიდი", N13. თბილისი.1993. გვ.98.

როგორც "ისტორიული ტერიტორია". ამიტომაც თურქეთი და ირანი იყვნენ ერთ-ერთი პირველი სახელმწიფოები, რომლებმაც აღიარეს ამიერკავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობა 1991 წელს და გამოთქვეს მზადყოფნა დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებისა. ანკარამ და თეირანმა მართლაც აღიდგინეს გარკვეული გავლენა რეგიონის ქვეყნებზე. თუმცა, კავკასიის რეგიონალური პროცესებში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის აქტიურმა ჩართულობამ თეირანს უბიძგა რუსეთთან საერთო ენის გამონახვა, ხოლო თურქეთის მთავრობა კი გაცილებთ ფრთხილად მოქმედებდა.[23]

სამი სახელმწიფოს - რუსეთის, თურქეთისა და ირანის ინტერესები მჭიდროდ უკავშირდება კავკასიის რეგიონსა და გარკვეულწილად ზღუდავენ ერთი-მეორეს მოქმედებას. თურქეთის ლიდერები ცდილობენ გაატარონ მრავალვექტრული პოლიტიკა. თავდაპირველი ამბიციური გეგმების განხორციელების მცდელობას მოჰყვა გაგება საკუთარი შესაძლებლობების ზღვარისა. დღეს თურქეთის პოზიცირებს როგორც დამოუკიდებელი და წამყვანი მოთამაშე რეგიონში და ამგვარად ცდლობს მაქსიმუმი სარგებლის მიღებას არსებული სხვადასხვა ფორმალური, თუ არაფორმალური კავშირების მეშვეობით.

რუსეთ-ირანის ურთიერთობების დინამიკაზე სერიოზულ ზეგავლენას ახდენს მესამე ქვეყნები. შეერთებული შტატების დემოკრატიულმა ადმინისტრაციამ მოახერხა ე.წ. "გადატვირთვის" პოლიტიკა მიება ავღანეთის პრობლემის გადაჭრას. ამით ობამას ადმინისტრაციამ მნიშვნელოვნად დააზარალა ირანის ურთიერთობა მის მთავარ პარტნიორებთან - რუსეთთან და ინდოეთთან. რუსეთის რუსული იარაღის მიწოდება საუდის არაბეთისთვის სხვა არაფერს ემსახურება, თუ არა მოახდინოს ირანის იზოლირება ახლო აღმოსავლეთში. ხოლო თეირანის

[23] თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა და სამხრეთ კავკასია. www.nplg.gov.ge (უკანასკნელად გადამოწმებულია 29.05.2019)

აქტიურობა ცენტრალურ კავკასიაში უნდა განიხილებოდეს უფრო ფართო კონტექსტში იმ რეგიონალურ პროცესებთან მიმართებაში, რომლებიც ახლო და შუა აღმოსავლეთში ვითარდება.

თეირანის ინტერესები კავკასიაში მოდის შეხებაში რუსეთის, თურქეთის, ევროკავშირისა და შეერთებული შტატების ინტერესებთან. შესაბამისად, საუბარი, რომ ირანსა და ცენტრალური კავკასიის ქვეყნებს შორის არის სრული თანხმობა არარეალურია.

თეირანის ინტერესები კავკასიაში ემთხვევა რუსეთის, თურქეთის, ევროკავშირისა და შეერთებული შტატების ინტერესებთა, შესაბამისად, საუბარი, რომ ირანსა და ცენტრალური კავკასიის ქვეყნებს შორის არის სრული თანხმობა არარეალურია.

კავკასიის რეგიონის გეოპოლიტიკური ერთიანობას ეჭვქვეშ არავინ აყენებს. ირანის პოზიცია ჩრდილოკავკასიაში არსებულ კონფლიქტებთან დაკავშირებიდ ძალზე თავშეკავებულია, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის არსებულ დაპირისპირებაშიც კი ირანი საკმაოდ იკავებს თავს და უფრო სომხურ პოზიციას იკავებს. დღეს უკვე რიგი ირანელი ექსპერტებიდა გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ იმ შემთხვევაში თუ თეირანი წარმატებულ სტრატეგიას აირჩევს, ირანის ისლამური რესპუბლიკის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ექნება საშუალება გამოიყენოს თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობა და გავლენა ისლამურ სამყაროში. [24]

დღეისათვის ვითარება ცენტრალურ კავკასიაში მნიშვნელოვნად განისაზღვრება მოსკოვი-ანკარა-თეირანის ურთიერთობათა დინამიკით. თუმცა ამ ვითარებაშიც კი ყველა რეგიონის მოსაზღვრე დიდმა მოთამაშემ უნდა გაითვალოსწინოს ე.წ. „გარეფაქტორი“. აქ იგულისხმება, ყველა ამ ქვეყნის

[24]როგორ დაიკმაყოფილებენ თავიანთ ინტერესებს რუსეთი, თურქეთი და ირანი საქართველოს ხარჯზეhttp://tbiliselebi.ge/index.php?newsid=268449482 (უკანასკნელად გადამოწმებულია 02.06.2019)

ურთიერთობა შეერთებულ შტატებთან, ევროკავშირთან და ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის წამყვან ქვეყნებთან.

ირანის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მიმართ, არსებითად, აგებულია და ფუნქციონირებს პრაგმატიზმისა და რეალპოლიტიკის, ისტორიული გამოცდილებისა და რეგიონში ძალთა ბალანსის შენარჩუნების ბაზაზე. მიუხედავად იმისა, რომ ირანი ცდილობს თავის დამკვიდრებას, როგორც რეგიონული ძალა, მას კარგად ესმის, რომ ამ ეტაპზე საკუთარი შესაძლებლობები არ აძლევს ამის საშუალებას და ის მხოლოდ აკვირდება გარე გამოწვევებს. აქედან გამომდინარე, მისი რეგიონული პოლიტიკა ფრთხილი და დაბალანსებულია.

ირანის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში პირველ რიგში ეფუძნება ეკონომიკურ ინტერესებს. რეგიონში თეირანის ძირითად მიზნებად შეიძლება ჩაითვალოს რამდენიმე, მაგალითად ჩრდილო-დასავლეთი ირანის პროვინციების დესტაბლიზაციის აღკვეთა (აზერბაიჯაბული მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლების განეიტრალება); აშშ-ს გავლეის შეზღუდვა; სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების გაფართოება; სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაყვანა და ენერგორესურსების ექსპორტი დასავლეთისკენ და ა.შ.

საქართველო-ირანის ურთიერთობების გაღრმავებისათვის, საკმაოდ ხელსაყრელი პირობები არსებობს, მათ შორისაა: ირანს, რომელსაც სახმელეთო საზღვარი არ გააჩნია საქართველოსთან, ვერ ექნება პრეტენზია მის რომელიმე ტერიტორიაზე (როგორც შუა საუკუნეებში); ირანი საქართველოში არ უჭერდა არასდროს და არც ახლა უჭერს სეპარატისტულ ტენდენციებს; ირანმა არ აღიარა საქართველს სეპარატისტული რეგიონები (აფხაზეთი და ე.წ სამხრეთ ოსეთი); ირანი დაინტერესებულია საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობით, რათა

ამ მარშრუტით დაუკავშირდეს ევროპას და გააძლიეროს თავისი პოზიციები სამხრეთ კავკასიაში. [25]

გარდა ამისა, საქართველოს ტერიტორია ირანისათვის სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობისაა, რათა მოხერხდეს ირანული გაზის ტრანსპორტირება ევროპაში.

ამდენად, თბილისმა უნდა გაატაროს უფრო აქტიური რეგიონული საგარეო პოლიტიკა და თეირანთან დაამყაროს მჭიდრო ურთიერთობები პირველ რიგში, სავაჭრო და ეკონომიკურ სფეროში, ასევე ტურიზმის და ინვესტიციების მოზიდვის დარგში (სოფლის მეურნეობა, ინფრასტრუქტურული პროექტები და ა.შ.).

რუსეთ-თურქეთის შორის დაძაბულობის პირობებში, საჭიროა ეკონომიკის დივერსიფიკაცია, რათა ნებისმიერი შიდა რყევები, რომელიც სავსებით შესაძლებელია დატრიალდეს თურქეთში, აუცილებლად უარყოფითად აისახება საქართველოს ეკონომიკაზე, რადგან, დღეისათვის, ანკარა წარმოადგენს ჩვენს უმნიშვნელოვანეს სავაჭრო-ეკონომიკურ პარტნიორს.

ზემოხსენებული ეს ფაქტორები და გარემოებები საქართველოს კარნახობს, დასავლეთთან მჭიდრო ურთიერთობების გაღრმავების პარალელურად, მეზობელ ქვეყნებთან აწარმოოს უფრო მოქნილი პოლიტიკა. თუმცა, საქართველოში, პოლიტიკური ელიტის მიერ, ირანის სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალი ჯერ კიდევ არ არის სრული სერიოზულობით აღქმული. იმის გათვალისწინებით, რომ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარეობს მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ძვრები და რეგიონში ტერორისტული საქმიანობა მატულობს, სავსებით შესაძლებელია,

[25] ირანი და სამხრეთ კავკასია, გეოპოლიტიკური ინტერესები და რეგიონული პრიორიტეტები https://www.timer.ge (უკანასკნელად გადამოწმებულია 25.05.2019)

ახლო მომავალში, ეს გარემოება თბილისსა და თეირანს შორის ეკონომიკური და სამხედრო სფეროში დაახლოების წინაპირობად იქცეს.[26]

3.2. თურქულ -აზერბაიჯანული ნავთობ და გაზსადენები და საქართველო

სამხრეთ კავკასიას ისტორიულად მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული მდებარეობა გააჩნია. სწორედ ამიტომ მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები ცდილობენ რეგიონში გავლენის მოპოვებას თავიანთი გეოსტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად.

განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სამხრეთ კავკასიის რეგიონმა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სამხედრო მნიშვნელობასთან ერთად ენერგეტიკული მნიშვნელობაც დიდი ხანია შეიძინა.

ისტორიული „აბრეშუმის გზა“, რომელიც კავკასიის მთავარ არტერიას წარმოადგენს, თითქმის ნახევარ მსოფლიოს მოიცავს და იშლება სხვადასხვა რელიგიათა ისტორიულ და გეოგრაფიულ არეალში ათასწლეულებს მანძილზე. ამ ევრაზიული გზის მონაკვეთის აღორძინების იდეა XX საუკუნის დასასრულს დაიბადა ევროკავშირში, რომელსაც მხარი დაუჭირეს აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა, ცენტრალური აზიის ყველა ქვეყანამ, ევროკავშირში შემავალმა სახელმწიფოებმა და თურქეთმა. აღსაღნიშნი ფაქტია ის, თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ეს გზა საქართველოზე გადის.

„დიდი აბრეშუმის გზა“, რომლის აღორძინებაც დღეს მიმდინარეობს, ისტორიულად ჩინეთში-სინძიანში იწყება და ქ. დუნხუანიდან ორ განშტოებად

---

[26] ეკონომიკური დაპირისპირება რუსეთ-თურქეთს შორის, ნოემბერი, 2015; იხ. online: http://www.radiotavisupleba.ge/a/ekonomika/27389072.html(უკანასკნელად გადამოწმებულია 22.05.2019)

მიემართებოდა დასავლეთისაკენ. ორივე გზა შუა აზიაში, ქ. ყაშგარში იყრიდა თავს. საუკუნეების მანძილზე ეს გზა დიდი სამხედრო და დიპლომატიური გზაც იყო.

რეგიონში დღეს მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე ისტორიული „აბრეშუმის გზა“ გვხვდება ახალი სახით, სადაც დასავლეთი ცდილობს ამერიკული „ახალი აბრეშუმის გზის“ კონცეფციის თანახმად გააკონტროლოს ცენტრალური აზიის ენერგორესურსები ჩინეთისა და რუსეთის გვერდის ავლით. მეორე მხრივ, რუსეთი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ქვეყანა გააერთიანოს „ევრაზიულ კავშირში“.

აბრეშუმის გზის“ კონტექსტში ცეტრალურ აზიაში, სამხრეთ კავკასიაში და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესები და მისი შესაძლო განვითარება, ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, რადგან ცენტრალური აზია ერთ-ერთი ყველაზე მდიდარია მსოფლიოში ენერგორესურსების თვალსაზრისით, ჩინეთს კი იმისთვის რომ ეკონომიკურად სწრაფად განვითარდეს საიმედო ენერგეტიკული მომარაგება სჭირდება, სწორედ ამ შემთხვევაში იქცევა ჩინეთი მსოფლიო ეკონომიკურ ლიდერად, რუსეთს სურს და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ცენტრალურ აზიასთან განსაკუთრებული ურთიერთობა შენარჩუნოს, როგორც პოლიტიკური ისე ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში, მისი მიზანია მოიპოვოს და შეინარჩუნოს ენერგორესურსების განაწილების ექსკლუზიური უფლება. თავის მხრივ ცენტრალური აზია დაინტერესებულია საკუთარი რესურსების ტრანსპორტირების დივერსიფიკაციით, ალტერნატიული ენერგოდერეფნის შექმნის შემთხვევაში, რეგიონი როგორც ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ მოგებას მიიღებს და შემცირდება მისი რუსეთზე დამოკიდებულების ხარისხიც. არ უნდა დაგვავიწყდეს ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებიც, რადგან ეს რეგიონი „აბრეშუმის გზის“ შემადგენელი

ნაწილია, რომელიც არც თუ ისე სტაბილურია და შესაძლებელია ძირეული ცვლილებები გამოიწვიოს სამხრეთ კავკასიაში.[27]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა არის განმსაზღვრელი იმისა, რომ ქვეყანა, ევრაზიის ენერგოსატრანსპორტო დერეფნის შემადგენელი ნაწილია, რომელმაც ეს ადგილი საბჭოთა კავშირის დაშლისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე დაიკავა, თუმცა მეორე, მხრივ, რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა ამ გეოგრაფიულ მდებარეობას განსაზღვრული ფორმა მისცა. მაგალითად, ჩრდილო-სამხრეთის დერეფნის პერსპექტივა რუსეთ-საქართველოს შორის არსებულმა კონფლიქტებმა შეასუსტა, აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის ენერგოკორიდორის საქართველოზე გაჭრა კი სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტმა და სომხეთსა და თურქეთს შორის დაძაბულმა ურთიერთობამ წაახალისა.

აზერბაიჯანიდან საქართველოში ნავთობი ორი მილსადენით მოედინება: ბაქო-სუფსის (საიდანაც შავ ზღვაში და შემდეგ მსოფლიო ბაზარზე გადის) და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (საიდანაც ხმელთაშუაზღვის ტანკერებში იცლება), ხოლო გაზი ე.წ. სამხრეთ კავკასიის, ანუ ბაქო-თბილისი-ერზრუმის მეშვეობით აზერბაიჯანიდან თურქეთს მიეწოდება. რასაკვირველია ამ ენერგოსადენების არსებობა რეგიონში ეკვე ახალ პოლიტიკურ რეალობაზე და ახალ ძალთა ბალანსზე მეტყველებს.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) მილსადენი გადის სამ ქვეყანაზე კასპიის ზღვიდან ხმელთაშუა ზღვის სანაპირომდე. ის ახალი ათასწლეულის ერთ-ერთი დიდი სამეცნიერო მიღწევაა, რომლის სიგრძე 443 კილომეტრია აზერბაიჯანში, 249 კილომეტრი საქართველოს, ხოლო 1076 კილომეტრი თურქეთში ჯეიჰანის საზღვაო ტერმინალამდე. ერთ-ერთი ყველაზე გრძელი მილსადენი მთელ სიგრძეზე მიწაში გადის. კავკასიის მთებს კი უმაღლეს წერტილში კვეთს ზღვის დონიდან 2800 მეტრის სიმაღლეზე და ერთი მილიონი ბარელი ნავთობის

[27] ე. შევარდნაძე. „დიდი აბრეშუმის გზა“ თბილისი. 1999. გვ. 45

გატარება შეუძლია დღეში. მისი მშენებლობა საქართველოში 2005 წელს დასრულდა და სრულ ექსპლუატაციაში 2006 წელს იქნა გაშვებული.[28]

თურქეთი დღემდე თუ ნეიტრალურ და პასიურ მოთამაშეს წარმოადგენდა რეგიონში, ახლა უკვე შედარებით უფრო გამოკვეთილ მხარედ ყალიბდება. მართალი, აქამდეც ძალთა გადანაწილებით ერთ მხარეს აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთი და მეორე მხარეს რუსეთი-სომხეთი-ირანი იყვნენ, მაგრამ თურქეთი, რომლისთვისაც რუსეთი იმპორტის ერთ-ერთი მთავარი წყაროა, ცდილობდა რუსეთთან არსებული ურთიერთობები საფრთხის ქვეშ დაეყენებინა. ფაქტობრივად კოალიციებს შორის ვითარების დაძაბვა გამოიწვია. ამის ნათელი მაგალითია ის, რომ 2008 წლის აგვისტოს ხუთდღიან ომამდე ორი დღით ადრე, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის თურქეთის ნაწილზე აფეთქება მოხდა, რომელზე პასუხისმგებლობაც თავის თავზე აიღო ქურთისტანის მუშათა პარტიამ.

„ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითად საექპორტო მილსადენის“ პროექტის განხორციელებას საგნგებო და სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის. ამ პროექტის რეალიზაციით კიდევ უფრო განვითარდება და განმტკიცდება რეგიონის ლიდერების მიერ ჩამოყალიბებული სტრატეგია, რომელიც გულისხმობს რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავებას, „დიდი აბრეშუმის გზის“ აღდგენასა და ევრაზიის დერეფნის დაჩქარებულ განვითარებას, რაც თავისთავად მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს, როგორც უდიდესი სახელმწიფოების სტრატეგიული და საიმედო პარტნიორი ქვეყნის, დამკვიდრებას მსოფლიო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში. ეს რა თქმა უნდა კიდევ უფრო გაზრდის ჩვენი ქვეყნისადმი ინტერესსა და ნდობას, გააფართოვებს მის სტრატეგიულ ფუნქციას, შექმნის აუცილებელ პირობებსა და გარემოს ქვეყანაში

[28] ევრაზიის ენერგოდერეფანი და საქართველოს პოლიტიკური როლი www.forbes.ge/news (უკანასკნელად გადამოწმებულია 22.05.2019)

მსხვილი ინვესტიციების მოზიდვისათვის და უზრუნველყოფს საქართველოსა და რეგიონის ქვეყნების უსაფრთხო, მშვიდობიან და დემოკრატიულ განვითარებას. [29]

სამხრეთ კავკასიური მილსადენი კასპიის ზღვის აზერბაიჯანის სექტორში მდებარე შაჰ დენიზის დაბადოდან საქათველოს ტერიტორიის გავლით საქარველო-თურქეთის საზღვრამდე გაზის ტრანსპირტირებისთვის დააპროექტეს. ამ მილსადენის მშენებლობა 2006 წელს დასრულდა და მისი მილები მიწაშია ჩაფლული. ბუნებრივი აირი აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის ქვეყნებს მიეწოდებათ.

კასპიის ზღვაში შაჰ დენიზის კონდესირებილი გაზის ედიდესი საბადოს აღმოჩენამ, განვითარებამ და სამხრეთ კავკასიის გაზსადენმა აზერბაიჯანს შესაძლებლობა მისცა 2006 წლიდან გაზის მთავარი ექსპორტიორი გამხდარიყო. სამხრეთ კავკასიის გაზსადენის გაფართოების პროექტი ქმნის პირველ დამაკავშირებელ რგოლს მილსადენების ჯაჭვში, რომელიც სამხრეთის გაზის ახალ დერეფანს წარმოადგენს და მისი მეშვეობით მოხდება კასპიის გაზის პირველად გატანა ევროპაში.[30]

სამხრეთ კავკასიის გაზსადენის სისტემის გაფართოების პროექტის ფარგლებში იგეგმება მთელი რიგი შენობა-ნაგებობების აშენება, კერძოდ საქართველოში ორი ახალი საკომპრესორო სადგური. შაჰ დენიზის გაფართოების პროექტის განხორციელება დამოკიდებულია უსაფრთხო პროექტირებისა და ხარისხიანი მნშენებლობის საერთო კონცეფციაზე. ამ პროექტის გაფართოება საქართველოს საკმაოდ დიდ სარგებელს მოუტანს. პირველ რიგში კაპიტალდაბანდებას, რომელიც დაახლოებით ორი მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების იქნება. ამას დაემატება ის ფაქტი, რომ ამ დაბანდების 20 პროცენტი დაიხარჯება ადგილობრივი მომწოდებლებისგან საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე.

[29] საქართველო პრეზიდენტის ბრძანებულება N455. 2000 წლის 17 ოქტომბერი. თბილისი. www.matsne.gov.ge (უკანასკნელად გადამოწმებულია 04.06.2019)

[30] სამხრეთ კავკასიის გაზსადენი https://www.bp.com (უკანასკნელად გადამოწმებულია 10.06.2019)

მშენებლობის პიკის დროს შეიქმნება დაახლოებით 2000 სამუშაო ადგილი. ამ პროექტისთვის განკუთვნილი დაახლოებით 350 ათასი მეტრული ტონა ტვირთის გადაზიდვა მოხდება საქართველოს საზღვაო პორტებისა და რკინიგზის მეშვეობით. ხოლო ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულების თანახმად გაზსადენში გატარებული სატრანზიტო გაზის მოცულობის 5 პროცენტი საქართველოს მიეწოდება.

3.3. ნეოოსმანიზმი და თურქეთის „რბილი ძალა“ საქართველოში

XXI საუკუნის პირველ ათწლეულში თურქეთი მართლაც ცდილობდა, გაეუმჯობესებინა ურთიერთობა ეზობელ ქვეყნებთან-საქართველოსთან, ირანთა, სირიასთან, ერაყთან და ზოგადად არაბულ სამყაროსთან, ასევე რუსეთთან და ისრაელთან.

საქართველოსათვის თურქეთი ერთ-ერთი უმთავრესი ეკონომიკური და პოლიტიკური პარტნიორი გახდა. თურქეთი მხარს უჭერს საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებას. თურქეთი სახმელეთო კავშირს თავის სტრატეგიული მოკავშირე აზერბაიჯანან ამყარებს ძირითადად საქართველოს ტერიტორიის გავლით, სადაც ასევე გადის აზერბაიჯანიდან თურქეთში მიმავალი მნიშვნელოვანი ნავთობ და გაზსადენები.

2009 წელს იყო თურქეთ-სომხეთის ურთიერთობათა ნორმალიზაციის მცდელობა. ამ საქმეში საერთაშორისო საზოგადოებაც ჩაერთო, მაგრამ რეალური შედეგი არ დამდგარა.

თურქმა და უცხოელმა მიმომხილველებმა დავითოღლუს გეოპოლიტიკური თეორია „ნეოოსმანიზმად“ მონათლეს. დავითოღლუს „სტრატეგიული სიღრმის“ იდეა არ გულისხმობდა თურქეთის ტერიტორიულ ექპანსიას, არამედ მისი ეკონომიკური და პოლიტიკური წონის მკვეთრ ზრდას „პოსტოსმალურ სივრცეში“.

ნეოოსმანიზმის მიხედვით, თურქეთს საკუთარი გეოპოლიტიკიდან გამომდინარე გააჩნია მულტირეგიონული იდენტობა, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეიძინა და რის გამოც მან უნდა აწარმოოს მრავალგანზომილებიანი საგარეო პოლიტიკა: იგი გულისხმობს, რომ თურქეთმა აღიდგინოს გავლენა ყოფილი ოსმალეთის იმპერიის სივრცეში, ანუ უნდა გახდეს რეგიონული ძალა, რადგან პასუხისმგებლობას მისი გეოპოლიტიკუსი მდებარეობა აკისრებს. ამ მიზნით იგი აწარმოებს სერიოზულ საგარეო პოლიტიკურ საქმიანობას. აღსაღნიშნავი ფაქტია ისიც, რომ მმართველი პარტია სამართლიანობის და განვითარების პარტია არ არის სეკულარული წინამორბედი მთავრობებისგან განსხვავებით და აშკარად ამჟღავნებს ისლამისტურ მისწრაფებებს, რაც თურქეთს აძლევს საშუალებას ურთიერთობები დაათბოს მუსლიმურ ქვეყნებთან .[31]

„არაბულმა გაზაფხულმა“ ბიძგი მისცა თურქეთის მთავრობის მიერ, საგარეო პოლიტიკის არასწორი სტრატეგიის არჩევას, რადგან გეოპოლიტიკურმა რეალობამ „მეზობლებთან ნულოვანი პრობლემების ნაცვლად“ მრავალი პრობლემა წარმოშვა ქვეყანაში.

პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის გამო თურქეთს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ამერიკისთვის. ვაშინგტონს არ უნდა, რუსეთს დაუტოვოს აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთი და ასევე შავ ზღვაზე სრული კონტროლი.

თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა პრაგმატულ ხასიათს ატარებს. სრულდება საუკუნე, რაც საბჭოთა კავშირს და თურქეთს შორის მშვიდობიანი ურთიერთობაა. თუმცა ისტორიიდან კარგად ჩანს, რომ ოსმალეთი და რუსეთი თითქმის ყოველთვის მტრად განიხილავდენენ ერთმანეთს და ხშირად ომობდნენ.

1991 წლიდან თითქმის ორი საუკუნის მანძილზე პირველად რუსეთსა და თურქეთს არ აქვთ საერთო სახმელეთო საზღვარი, რომლის არსებობაც

[31] გაჩეჩილაძე რ. „ახლო აღმოსავლეთი“ ტომი II. თბილისი 2019. გვ. 116-117.

თურქეთისთვის საფრთხეს წარმოადგენდა. ახლა მათ შორის დამოუკიდებელი საქართველოა.

1930- იანი წლების დასაწყისში ორივე ქვეყაას დასჭირდა სერიოზული ბრძოლა თავისი, არსებითად, იმპერიული, ტერიტორიის აღსადგენად. 1921 წელს სამხრეთ კავკასიაში ისინი ერთდროულად იყვნენ სიტუაციური მოკავშირეებიც და შეფარული მეტოქეებიც.

თურქეთის საგარეო პოლიტიკაზე საუბრისას აუცილებლად უნდა ვახსენოთ რამდენიმე გეოპოლიტიკური ტენდენცია. XX საუკუნის ბოლო ათწლეულში თურქეთში გაჩნდა ევრაზიულობის გეოპოლიტიკური კონცეფცია , რომ თურქეთი - ესაა ევრაზიის გეოგრაფიულად ცენტრალური ქვეყანა, მოწოდებული იმისათვის, რომ გაავრცელოს ტრანსკონტიენტური გავლენები. საუბარი იყო თურქეთის ცენტრალურობაზე მსოფლიო პოლიტიკაშიც. თურქეთი თავის თავს ხედავდა „ღერძულ ქვეყნად“, როგორც ხიდს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის.

„ცივი ომის“ დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თურქეთის რესპუბლიკამ აღმოაჩინა, რომ მას შეუძლია დამოუკიდებლად აირჩიოს საგარეო პოლიტიკური ვექტორი. დასავლეთთან თურქეთის ურთიერთობა თანდათანობით თანასწორუფლებიანი გახდა. საბჭოთა კავშირთან სამხედრო კონფრონტაციის საფრთხის მოხსნამ კი აუყოვნებლივი ეფექტი მოიტანა თურქეთის ურთიერთობაზე პოსტ-საბჭოთა სივრცეში წარმოქმნილ ახალ სახელმწიფოებთან, ვისი დამოუკიდებლობაც მან 1991 წლის ბოლოსვე აღიარა.

თურქეთი თვითონ გახდა ლიდერი იქ, სადაც მანამდე მას უმნიშვნელო როლი ჰქონდა. თურქეთის საგარეო პოლიტიკა პოსტსაბჭოთა სივრცეში მკვეთრად გააქტიურდა. ამას ხელი შეუწყო ამ „სივრცეში დაწყებულმა ძალიან მტკივნეულმა და საკმაოდ

ხანგრძლივმა გადასვლამ გეგმური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე, აგრეთვე სურსათისა და სამომხმარებლო საქონლის დეფიციტმა.

სამხრეთ კავკასიაში არსებობს თრქეთ-რუსეთის გარეშე თვალისათვის შეუმჩნეველი, მაგრამ რეალური მეტოქეობა. ეს ეხება არა მხოლოდ აზრთა სხვადასხვაობას კასპიის ზღვისპირეთიდან ნავთობ და გაზსადენების გაყვანის მიმართულების თაობაზე, არამედ პოლიტკური გავლენების გეოგრაფიასაც. თურქეთი არ ცნობს საქართველოს ნაწილების აფხაზეთისა და ე. წ სამხრეთ ოსეთის რუსეთის მიერ აღიარებულ „დამოუკიდებლობას“. ამავე დროს თურქული კერძო კომპანიები დაუბრკოლებლად ვაჭრობენ აფხაზეთთან. არ არის გამორიცხული, რომ მომავალში აფხაზეთში რუსელ გავლენას თურქული დაუპირისპირდეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1992 წლიდან თურქეთმა დაიწყო თავისი სამომხმარებლო საქონლითა და სურსათით სამხრეთ კავკასიის, ცენტრალური აზიის, რუსეთისა და უკრაინის იმ დროისთვის დაცარიელებული ბაზრების ათვისება. ამის შედეგად, განვითარება დაიწყო საქართველოს მიმდებარე, თურქეთის ადრე ყველაზე ჩაკეტილმა, მიყრუებულმა, ეკონომიკურად ჩამორჩენილმა მხარეებმა - ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიამ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთმა. ისინი გამოაცოცხლე სატრანზიტო ფუნქციამ, რადგან სწორედ ამ პროვინციებზე და საქართველოზე გავლით თურქეთი უკავშირდება აზერბაიჯანს, ცენტრალური აზიის ქვეყნებსა და სომხეთსაც კი, რომელთან ურთიერთობაც აღარ აქვს.

ზემოთთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ თურქეთის „რბილი ძალა“ საქართველოში დღემდე მოქმედებს.

დასკვნა

თურქეთსა და საქართველოს ურთიერთობები საუკუნეებს მოიცავს კონკრეტულად კი ის იწყება ოსმალეთის იმპერიად ჩამოყალიბებიდან მალევე. ეს

უთიერთობები ძირითადად თურქეთის მხრიდან საომარი მოქმედებებითა და ქართული ტერიტორიების ოკუპაციით ხასიათდება.

ქართული ტერიტორიების ნაწილობრივ დაბრუნება საქართველოსათვის რუსეთ-თურქეთის ომების შედეგად მოხდა, მაგრამ ტერიტორიების დიდი ნაწილი კვლავ თურქეთის შემადგენლობაში რჩება დღემდე.

ნაშრომში პასუხები გავეცით ჩვენი თემის მთავარ საკვლევ კითხვებს, რომელიც გვქონდა დასმული და სადაც ყურადღება გამახვილებულია საქართველოს მნიშვნელობაზე თურქეთის საგარეო პოლიტიკაში.

საქართველოს საკითხი თურქეთისათვის აქტიური გახდა ოსმალეთის იმერიის ბოლო ეტაპზე. კონკრეტულად კი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე, აქაც თურქეთის მხრიდან ქართული ტერიტორიების ფლობის პრეტენზიით გამოიხატა. ასეთი დაძაბული ფონის მიუხედავად საქართველოსა და თურქეთის მაშინდელ მთავრობებს შორის რამდენიმე ხელშეკრულება მაინც გაფორმდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მკაფიოდ დაისვა საკითხი პირველად ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის ისტორიაში, რათა ქართული ტერიტორიები დაბრუნებოდა საქართველოს, მაგრამ ომის ბოლოს მსოფლიოში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებების შედეგად აღნიშნული პრობლემის გადაჭრა შეუძლებელი აღმოჩნდა.

ნაშრომში მოცემული ჰიპოთეზის განსამტკიცებლად ნაშრომში განხილული თურქეთისა და საქართველოს პოლიტიკურ და ამავე დროს ეკონომიკურ ურთიერთობები, სადაც ახალი ეტაპი დაიწყო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. ამ პერიოდში მისი მეტოქეები სამხრეთ კავკასიასა და კონკრეტულად საქართველოსთან მიმართებაში იყვნენ რუსეთი და ირანი. თურქეთს ქართულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში თავისი სასურველი ადგილის დასამკვირებდლად მოუხდა წინააღმდეგობის დაძლევა ამ ორ სერიოზულ

მეტოქესთან, რომელიც არც თუ ისე იოლი აღმოჩნდა ამ ქვეყნისათვის. ამისდა მიუხედავად თურქეთმა მაინც შეძლო საქართველოში თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების გატარება.

თურქეთს სამხრეთ კავკასიაში მის ეთნიკურ და ენობრივ მოკავშირე აზერბაიჯანთან ერთად უხდება სერიოზული ეკონომიკური პროექტების (ნავთობსადენები, გაზსადენები) განხორციელება, რაშიც მას სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის მისი მეტოქე ქვეყნები ჩვენს რეგიონში. ამავე დროს სამხრეთ კავკასიაში თავისი სერიოზული ინტერესები ამოძრავებს აშშ-საც. იმ ფონზე, როდესაც ბოლო პერიოდში თურქეთ-აშშ-ს ურთიერთობა არც თუ სახარბიელო ეტაპზეა, შესაძლოა ამან გარკვეული პრობლემა შეუქმნას თურქეთის სამხრეთ კავკასიურ პოლიტიკას.

რადგანაც ძალთა ბალანსის თეორის მიხედვით საერთაშორისო სისტემა ანარქიულია და სახელწიფოების ძირითადი ამოცანაა თვითგადარჩენა და თვითდამკვიდრებაა, აუცილებელი პირობაა უსაფრთხოება და დამოუკიდებლობა. თურქეთის შემთხვევაში მისი მიზნები ქვეყნებთან ურთიერთობაში და კერძოდ საქართველოსთან მიმართებაში, საკუთარი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების გატარებას ითვალისწინებს და შესაბამისადაც იყენებს თავის მეთოდებს, რომლის ერთ-ერთი სახე „ნეოოსმანიზმია“.

თურქეთის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ასპექტი უკვე წლებია გახდა „ნეოოსმანიზმი“, რაც საფრთხეს უქმნის ყველა იმ ქვეყნის ტერიტორიას, რომელიც ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდნენ, მათ შორისაა საქართველოც. თურქეთის ამჟამინდელი ხელისუფლება თავისი „ნეოოსმანიზმის“ იდეისათვის ხორცის შესასხმელად იყენებს რბილ ძალას, რასაც გარკვეული ეფექტი აქვს კიდეც. ეს ქვეყანა ამისთვის, კონკრეტულად კი საქართველოსთვის მხოლოდ მუსლიმ მოსახლეობას არ იყენებს. ფაქტია, რომ „ნეოოსმანიზმის“ იდეა ისევე მარცხისათვისაა განწირული, როგორც პანთურქიზმი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაჩეჩილაძე რ. „ახლო აღმოსავლეთი“ ტომი II. თბილისი 2019.
2. გიგინეიშვილი ო. თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა. თბილისი. 1963.
3. დანგაძე ნ. 1918-1921 წლებში საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან „ქართველური მემკვიდრეობა“ თბილისი 2007.
4. იმედაიშვილი ა. საქართველო-თურქეთის ურთიერთობების ახალი ერა, „ხიდი“, N13. თბილისი. 28.07.1993.
5. მაკარაძე ე. „თურქეთის ისტორია“. თბილისი. 1918-2018წწ.
6. სანიკიძე გ. ალასანია. გ. გელოვანი. ნ. ახლო აღმოსავლეთის ისტორია (თბილისი, 2011).
7. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბილისი 1970.
8. საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის ხელშეკრულება, „საქართველოს რესპუბლიკა“, N63-64, 27.03.93.
9. სვანიძე მ. ბათუმის კონფერენცია (და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება) 1918 წლიე 11 მაისი-4 ივნისი). „ქართული დიპლომატია“ წელიწდეული. ტ.6, თბილისი 1999.
10. სვანიძე მ. ბრესტის ზავი და საქართველო, „ქართული დიპლომატია“ წელიწდეული. ტ 3. თბ. 1996.
11. სვანიძე მ. „დიპლომატიური ბრძოლა ბათუმისა და ბათუმის ოლქისათვის 1918-1921 წლებში. ქართული დიპლომატია“, წელიწდეული, ტ. 8.
12. სვანიძე. მ. „თურქეთის ისტორია“. თბილისი 2007
13. სვანიძე მ. საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები XIV-XVIII სს. თბილისი. 1990.
14. სვანიძე მ. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს-ში, თბილისი. 1971.
15. ქორთუა ნ. საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში. თბილისი. 1964.
16. ქორთუა ნ. ამიერკავკასია რუსეთ-ირანის 1826-1828 წლების ომში: რუსი და ამიერკავკასიის ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, თბილისი, განათლება, 1978.
17. ყავრელიშვილი რ. ამიერკავკასიის კომისარიატის პოლიტიკური ურთიერთობის ისტორია (1917) ახალციხე-ყარსის სიმპოზიუმის შრომები, ახალციხე ყარსი. 2001.
18. შევარდნაძე ე. „დიდი აბრეშუმის გზა“ თბილისი. 1999. გვ. 45
19. ჩხეიძე ს. ახლო აღმოსავლეთის საკითხის ისტორიიდან (1876-1878 წლების კრიზისის პერიოდიში). თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. ტ.21. თბ. 1967.
20. Орешкова С. Ф. Ульченко Е. Ю. Россия и Турция (проблемы формирования границ) М. 1999.

21. Тарле Е.В. Крымсксая Война. Соч. Т. 8-9. М. 1959.
22. Шеремет В.И. Турция и Адрианопольский мир 1829 г. М. 1975.
23. Kazemzadeh F. „the struggle for Transcaucasia (1917-1921)“ new York. Filosofical library .1951. 103-107).

ინტერნეტრესურსები

24. ბრესტის ზავი 1918. http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php (უკანასკნელად გადამოწმებულია 01.06.2019)
25. კუნჭულია ლ. საქართველოს საფრთხეები რუსეთ-თურქეთის დაპირისპირების გამწვავების შემთხვევაში. ნოემბერი; 2015. http://www.radiotavisupleba.ge/a/ruset-turketis-urtiertoba-da-sakartvelo/27386382.html (უკანასკნელად გადამოწმებულია 02.06.2019)
26. თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა და სამხრეთ კავკასია. www.nplg.gov.ge (უკანასკნელად გადამოწმებულია 29.05.2019)
27. როგორ დაიკმაყოფილებენ თავიანთ ინტერესებს რუსეთი, თურქეთი და ირანი საქართველოს ხარჯზე http://tbiliselebi.ge/index.php?newsid=268449482 (უკანასკნელად გადამოწმებულია 02.06.2019)
28. ირანი და სამხრეთ კავკასია, გეოპოლიტიკური ინტერესები და რეგიონული პრიორიტეტები https://www.timer.ge (უკანასკნელად გადამოწმებულია 25.05.2019)
29. ეკონომიკური დაპირისპირება რუსეთ-თურქეთს შორის, ნოემბერი, 2015; იხ. online: http://www.radiotavisupleba.ge/a/ekonomika/27389072.html (უკანასკნელად გადამოწმებულია 22.05.2019)
30. ევრაზიის ენერგოდერეფანი და საქართველოს პოლიტიკური როლი www.forbes.ge/news (უკანასკნელად გადამოწმებულია 22.05.2019)
31. საქართველო პრეზიდენტის ბრძანებულება N455. 2000 წლის 17 ოქტომბერი. თბილისი. www.matsne.gov.ge (უკანასკნელად გადამოწმებულია 04.06.2019)
32. სამხრეთ კავკასიის გაზსადენი https://www.bp.com (უკანასკნელად გადამოწმებულია 10.06.2019)